

440 ლლუ
საქართველოს
დამოუკიდებლობაზე

27 თებერვალი *ორშაბათი*

„ეს მოხდა 1917 წლის 27 თებერვალს. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ ვულკანზე ვცხოვრობდით... პეტროგრადში პური გამოილია – უჩვეულო თოვლიანობის, ყინვებისა და რაც მთავარია – დაძაბული საომარი ვითარების გამო ტრანსპორტის მუშაობა ძლიერ შეფერხებული იყო... და ქუჩებში არეულობა იმატა... მაგრამ მთავარი მიზეზი იყო, რომ პური არ იშოვებოდა. რა თქმა უნდა, ეს ბოლო წვეთს წარმოადგენდა... საქმე ისაა, რომ მთელს ამ უზარმაზარ ქალაქში შეუძლებელი გახდა თუნდაც რამდენიმე ასეული ადამიანის მოძიება, ხელისუფლების თანაგრძნობი რომ ყოფილიყვნენ... სინამდვილეში ხელისუფლება საკუთარ თავს არ თანაუგრძნობდა... პრაქტიკულად, ერთ მინისტრსაც ვერ ნახავდით, დარ-

წმუნებული რომ ყოფილიყო საკუთარ თავში იმაზე, რასაც აკეთებდა – მოგვიანებით იხსენებდა სათათბიროს დეპუტატი ვასილი შულგინი. [42; გვ. 173]

რუსეთის ხელისუფლებამ ფრონტიდან თავრიდის სასახლეში მოიხმო გვარდიელთა რაზმი. რევოლუციის მხარეს უკვე იდგა 66 ათასი ადამიანი. [21; გვ. 34]

პეტროგრადი რევოლუციამ მოიცვა. ჩამოყალიბდა სათათბიროს დროებითი კომიტეტი, რომელმაც ძალაუფლება ხელში აიღო. კომიტეტში შევიდნენ ცენტრისტები და ზომიერი მემარცხენეები: მიხაილ როძიანკო-სათათბიროს თავმჯდომარე, „ოქტიანისტი“; ალექსანდრე კერენსკი – „ტრუდოვიკი“, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე – სოციალ-დემოკრატი, ვასილი შულგინი – მემარცხენე ნაციონალისტი, პავლე მილიუკოვი – კადეტი, მიხაილ კა-

რაულოვი – კადეტი, ალექსანდრე კონოვლოვი – „პროგრესისტი“, ივან დმიტრიუკოვი – მემარცხენე პროგრესისტი, სერგეი შიდლოვსკი – „ოქტიანისტი“, ვლადიმერ რცევსკი – „პროგრესისტი“, ნიკოლოზ ნეკრასოვი – სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე, კადეტი და გიორგი ლვოვი – პროგრესისტი. [2; 49] [34]

თავრიდის სასახლეში მუშაობა დაიწყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ კარლო ჩხეიძისა და ალექსანდრე კერენსკის ხელმძღვანელობით. [34]

კავკასიის მეფისნაცვალ დიმიტრი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სალამოს 10 საათზე ბაქოში წავიდა. [2; 46]

გაიხსნა კრება ქალაქის საბჭოში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ხატისოვი. ხმოსანმა ქსავერიევმა ისაუბრა ქალაქში შავი სახადის გავრცე-



რევოლუციის მომხრე ჯარისკაცები ლოზუნგით „ძირს მონარქია! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“



პეტროგრადის საბჭოს მონოღება

ლებაზე და საჭიროდ მიიჩნია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეზინფექცია. ამის შემდეგ კრებაზე იმსჯელეს ტრამვაის მოსამსახურეთათვის ხელფასების მომატების შესახებ. ამის შესახებ მოხსენება წაიკითხა ათაბეგოვმა. ამ საკითხთან დაკავშირებით ხმოსნები ორად გაიყვნენ. ს. არუთიანოვი, ბერბერიანცი, მელიქ კარაკაზოვი და შავერდოვი მიიჩნევდნენ, რომ ხელფასები არ უნდა მომატებოდათ ტრამვაის მოსამსახურეებს. ხმოსანი ზორიანი, ბებუთოვი, შახატუნიაი, მესხიშვილი, გოთუა, ერზიკიანცი, ტიგრანოვი, ძიძიშვილი, რამიშვილი და მუსხელიშვილი მომხრენი იყვნენ მომატებოდათ ხელფასი. [1; 48]

☐ ჩატარდა თბილისის პოლიტექნიკუმისთვის შემონირულებათა შემკრები კომისიის წევრთა კრება. კრებამ მოისმინა მოხსენებები რამიშვილის, ნ. ლომთათიძის და პ. ერზინჯიანცის. კრებამ დაადგინა: კომისიას ხელი შეეწყო, რომ თბილისში მალე დაარსებულიყო უნივერსიტეტი. [1; 49]

★ ილია დურგლოშვილს ღვინის საწყობი გაუტეხეს და მოპარეს 2 100 მანეთის ბანდეროლი. მარკარ დუშაიანცს გაუტეხეს დუქანი და მოპარეს 200 მანეთის საქონელი. ნილკანის ქუჩაზე სო-

ფიო შერმაზანაშვილს მოპარეს 200 მანეთი და 185 მანეთის ნივთეულობა. კიროჩნის ქუჩაზე საფართლო მალაზია გაუტეხეს ტატეკოს ძიძიევს და გრიგოლ ავაქოვს, წაიღეს 517 მანეთი და 653 მანეთის საქონელი. [2; 49]

28 თებერვალი სამშაბათი

ღამით სახელმწიფო საბჭოს წევრებმა იმპერატორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „სახელმწიფო საბჭოს წევრნი სამშობლოს საშინელ განსაცდელის ჟამს მოგმართავთ, რათა მოვიხადოთ ვალი ჩვენის სინდისისა, თქვენსა და რუსეთის წინაშე. ტრანსპორტის საქმე მთლად აწენილ-დანწენილია, საჭირო მასალები არსაიდან მოდის, ქარხნები და სამრეწველოები შეჩერდა. ხალხი მთავრობის სიძულვილით გაიჟღინთა და ეჭვის თვლით იცქირება. ეს ყველაფერი მათ სტიქიურ მოქმედებაში გამოიხატა. ამ მოძრაობას ახლა ჯარიც შეუერთდა. ჩვენ უკანასკნელ და ერთადერთ საშუალებად მიგვარჩია, თქვენი უდიდებულესობის საშინაო პოლიტიკის შეცვლა. დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოთ საკანონმდებლო პალატები, გადააყენოთ დღევანდელი სამინისტრო და მთავრობის სადავეები ჩააბაროთ ხალხის ნდობით აღჭურვილ პირთ. ყოველი საათი ძვირფასია, დაყოვნება და ყოყმანი აურაცხელ უბედურებას გვიქადის“. რევოლუციის მხარეს უკვე იდგა 112 ათასი ჯარისკაცი. [2; 50], [21; გვ. 34]

სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა როძიანკოს თავმჯდომარეობით ღამის 2 საათზე დეპეშის სახით პეტროგრადის მცხოვრებლებს მოუწოდა საერთო ინტერესის გულისთვის გაფრთხილებოდნენ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს; აგრეთვე ტელეგრაფს, ელექტ-


რონერგიის სადგურებს, ტრამვაის, სამთავრობო დაწესებულებებს. ქონების განადგურება დიდ ზიანს მიაყენებდა როგორც სახელმწიფოს, ისე მთელ მოსახლეობას, რადგან ყველას თანაბრად სჭირდებოდა წყალი, სინათლე და სხვა. [2; 50]

„რევოლუცია სრულიად მოულოდნელი იყო ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. რუსეთში არცერთი პარტია რევოლუციური თუ ოპოზიციონური რევოლუციისაკენ არ მოუწოდებდნენ და ცდილობდნენ მხოლოდ დუმის საშუალებით რასპუტინის განდევნას და მთავრობის ირგვლივ ფართე საზოგადოების შემოკრებას თავდაცვის ნიადაგზე. ბოლშევიკები უტახეთში ძალიან რევოლუციონერობდნენ, მაგრამ რუსეთში კი ხმას არ იღებდნენ, დუმის ბოლშევიკური ფრაქცია განიცდის კრიზისის მალინოვსკის როლის გამომჟღავნებით, ხოლო ჩვენები განაგრძობდნენ ლოიალურ ოპოზიციონერობას და მისაღებ კრიტიკას“ – მოგვიანებით იხსენებდა ნოე ჟორდანი. [32; გვ. 74]

გამოვიდა „პეტროგრადის საბჭოს უწყებანის“ („იზვესტია“) პირველი ნომერი, რამაც დააჩქარა



„პეტროგრადის საბჭოს უწყებანის“ („იზვესტია“) პირველი ნომერი



სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრები. ხსებან (მარცხნიდან): ვ. ლვოვი, ვ. რუჟევსკი, ს. შიდლოვსკი, მ. როძიანკო. დგანან: ვ. შულგინი, ი. დმიტრიუკი, ბ. ენგელგარდტი (პეტროგრადის გარნიზონის კომენდანტი), ა. კერენსკი, მ. კარაულოვი.

რა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საბჭოების ჩამოყალიბების პროცესი. [34]

👥 კავკასიის მეფისნაცვალმა 5000 მანეთი გადადო ტრაპიზონის რაიონის ლტოლვილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. [2; 48]



კარლო ჩხეიძე

🚩 დეპუტატი აკაკი ჩხენკელი რამდენიმე კვირით სამკურნალოდ ფინეთში გაემგზავრა. (2; 46)

👤 ეგზარქოსის თავმჯდომარეობით ჩატარდა საღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება, სადაც აირჩიეს საგანგებო კომისია საღვთო სჯულის მასწავლებელთა ძმობის წესდების შესადგენად. კომისიის წევრებად არჩეულნი იქნენ მღვდლები: ჯიოშვილი, საირნოვი და ავდაშკევიჩი. [3; 208]

👥 ჩატარდა მომწესრიგებელი კომისიის სხდომა. დადგინდა, 33 კაპიკიანი პირველი ხარისხის პური ფურნეში უნდა გაყიდულიყო 34 კაპიკად. პირველი ხარისხის ხორცი ღირდა 40 კაპიკი, კამეჩის ხორცი – 30 კაპ., ხბოს ხორცი – 45 კაპ., ცხრის – 45 კაპ., ღორის – 45 კაპ., ქონი – 60 კაპ., გირვანქა მარილი – 6 კაპ., გირვანქა ბრინჯი – 50 კაპ., მაკარონი – 35 კაპ., შაქარი – 27 კაპ., ვერმიშელი – 35 კაპ., პირველი ხარისხის საპონი – 70 კაპ., ასანთ „ლაფშანას“ ათეული – 55 კაპ., ოსური ყველი – 80 კაპ., ადგილობრივი ყველი –

60 კაპ., ათი კვერცხი – 70 კაპ., ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოტანილი სიმინდი – 2 მანეთი (ფუთი), ადგილობრივი სიმინდი – 3 მანეთი და 50 კაპიკი, ადგილობრივი სიმინდის ფქვილი – 4 მანეთი, ჩამოტანილი სიმინდის ფქვილი – 2 მანეთი და 40 კაპ., ღომი ფუთი – 8 მანეთი, პურის ფქვილი გირვანქა – 20 კაპ., ნავთი გირვანქა – 7 კაპ. (3; 806)

👥 ქუთაისში გავრცელებული ყოფილა ვენერიული ავადმყოფობა. შინ დაბრუნებული ჯარისკაცები სშირად ყოფილან დაავადებულნი, რის შემდეგაც ზემო აღნიშნული ინფექცია შინაურებზეც გადადიოდა. (3; 806)

🌟 პოლიციამ შეიპყრო 6 დეზერტირი და 5 უპასპორტო. [2; 49]

📖 სკოლის გარეშე განათლების საზოგადოებამ სამასწავლებლო ინსტიტუტში ჩაატარა ლექცია. უმაღლესი ქალთა კურსების ლექტორმა ლ. იშკოვმა წაიკითხა მოხსენება „საფრანგეთის ნატურალიზმი“, „ემილ ზოლა“, „გიიდე-მოპასანი“. (3; 308)

1917
მეჩვი



1 მარტი

ოთხშაბათი

იმპერატორის ამაღლა, პეტროგრადში რევოლუციის ჩასახშობად გამოძახებული ჯარი და მთელი ფლოტი რევოლუციას მიემხრო. ჯარმა მეფის სასახლე დაიკავა. დედოფალმა ალექსანდრამ მიხაილ როძინკოს საკუთარი თავისა და ტახტის მემკვიდრის მფარველობა სთხოვა. დააპატიმრეს იმპერიის ყოფილი

მალაჩინოსნები, მათ შორის ივან გორემიკინი – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1906 და 1914-1916 წლებში. [1; 52] [2; 56]

სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიწვია პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ და მისმა თანმხლებმა


პირებმა დაარწმუნეს კომიტეტის წევრები, ხელში აეღოთ მთელი ხელისუფლება, ჩამოეყალიბებინათ დროებითი მთავრობა. სამაგიეროდ საბჭომ მოითხოვა: სრული ამნისტიის გამოცხადება და ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლება, სიტყვის, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების დაკანონება, ყველა წოდებრივი, ნაციონალური და რელიგიური შეზღუდვის გაუქმება, პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით, ადგილობრივი თვითმმართველობების დემოკრატიზაცია, ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისთვის მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭება, დამფუძნებელი კრების მოწვევა და სხვა. [21; გვ. 35]

რუსეთის დროებითი მთავრობა დე-ფაქტო აღიარა ინგლისმა და საფრანგეთმა. [21; გვ. 35]

გამოქვეყნდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ბრძანება №1 პეტროგრადის გარნიზონის მიმართ, რომლის მიხედვითაც დაკანონდა ჯარისკაცთა კომიტეტები და მათ განკარგულებაში გადავიდა ყველა იარაღი. ოფიცრებს ფაქტობრივად, ჩამოერთვათ დისციპლინური ძალაუფლება ჯარისკაცებზე. [34]

მიხაილ როძინკომ დეპეშეები გაუგზავნა რუსეთის საზღვაო და სახმელეთო ძალების სარდლებს, ალუთქვა მათ, რომ მტერთან ბრძოლა წუთითაც არ შეჩერებულიყო და მოუწოდა მათ ებრძოლათ სამშობლოს დასაცავად. [1; 51]

ჯარისკაცთა ახალი განვევის დამთავრებისთანავე თბილისში ღვინით ვაჭრობა განახლდა. (2; 47)



პეტროგრადის საბჭოს ბრძანება №1

☞ სოხუმიდან იუნყებოდნენ: „ამას წინათ აქ ჩამოსულმა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგმა, თავადმა ჯავახიშვილმა გვაუწყა, რომ მიტროპოლიტ პიტირიმის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ განიზრახა სოხუმის ეპისკოპოსის კათედრა ქ. ნოვოროსისკში გადაიტანოს და დაანესონ ცალკე ჩერნომორიის ეპარქია. ხოლო სოხუმში გაუქმდეს კათედრა ეპისკოპოსისა. სოხუმი, აფხაზეთი და სამურზაყანო, ე.ი. მთელის სოხუმის ოლქი შეუერთდეს იმერეთის ეპარქიას. ამ საგნის შესახებ არის თურმე მეორე პროექტიცა გურია-ოდიშის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა. ამ პროექტის თანახმად უნდა დაწესდეს გურია-ლაზისტანისა და ცალკე ოდიშის ეპარქია, რომელსაც უნდა შემოუერთდეს აფხაზეთ-სამურზაყანო“. (2; 47)

☝ შავი ზღვის რკინიგზის შენება გაისად, ივლისში უნდა დასრულებულიყო. მუშახელი და საჭირო მასალა საკმაოდ იყო. (2; 47)

☝ ფოთის თავის კანდიდატად ვლ. მიქელაძეს ასახელებდნენ. ქალაქის ბანკის დირექტორებად – ახალგაზრდა იურისტ კონსტანტინე საბახტარიშვილს და საკომერციო ინსტიტუტისა კურსდამთავრებულს – ბასილიას. (2; 47)

☝ ახალციხიდან იუნყებოდნენ, რომ ომში დაზარალებულთა დამხმარე ქალების კომიტეტს გუბერნატორმა ჯარისკაცებისთვის კინემოტოგრაფიული სეანსების ჩატარების უფლება მისცა (2; 47)

☝ დავით სარაჯიშვილის კანტორის გამგემ ქალაქის თავს ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძი გამოუგზავნა, რომლის თანახმადაც სერგიევის ქუჩაზე მდებარე სახლი თუ მოანდერძის სიკვდილის წინანამამადე მის ხელში იქნებოდა, სიკვდილის შემდეგ ქალაქს უნდა დარჩენოდა. ამ სახ-


ლში ქალაქს ქირურგიული საავადმყოფო უნდა მოეწყო. სახლის გარდა ქალაქს გადაეცემოდა ასი ათასი მანეთი. აქედან 40000 მანეთი ხელუხლებელ თანხად დარჩებოდა სახლის სარემონტოდ, ხოლო 60000 მანეთი საავადმყოფოს მოსაწყობად იქნებოდა. ქალაქი შეუდგა ამ ქონების ჩაბარების თადარიგს. (2; 47)

☝ ხარფუხის საზოგადო კლუბში ქართველ არტისტთა ამხანაგობამ წარმოადგინა „მე მინდა კნეინა გავხდე“. სპექტაკლზე შესვლა უფასო იყო. [2; 47]

☝ გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომელმა ვ. საათაშვილმა დაწერა ახალი პიესა „ცხოვრების ტალღა“ – დრამა ორ მოქმედებად და ოთხ სურათად (2; 47)

2 მარტი *ხუთშაბათი*

☝ ნიკოლზ II ტახტიდან გადადგა. ფსკოვში მასთან მოსალაპარაკებლად იმყოფებოდნენ სამხედრო მინისტრი ალექსანდრე გუჩკოვი და დროებითი მთავრობის წევრი ვასილი შულგინი. ნიკოლოზმა ტახტი თავის ძმას – მიხეილს დაუთმო. 2 მარტს ნიკოლოზ II-მ საკუთარ დღიურში ჩაწერა: „ღილით რუხსკი მოვიდა და აპარატით როძიანკოსთან გამართული ხანგრძლივი საუბრის ტექსტი წაიკითხა. მისი სიტყვებით პეტროგრაღში მდგომარეობა იმგვარია, თითქოს დუმის სამინისტროს უკვე არ ძალუძს რაიმეს გაკეთება, რადგან მას ებრძვის სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშათა საბჭოს სახით. საჭიროა ჩემი გადადგომა. რუხსკიმ ეს საუბარი შტაბს გადასცა, ალექსეევმა კი – მთავარსარდლებს. 14:30 საათისთვის ყველასგან პასუხი მოვიდა: საქმის არსი ისაა, რომ რუსეთის გადარჩენისა და ფრონტზე არმიის მშვიდად შენარჩუნებისთვის ეს



„გარდაიცვალა ბიუროკრატ დესპოტიზმზე მთავრობაძე“. ფურნალი „ემ-მაკის მათრახი“.

ნაბიჯი უნდა გადაიდგას. მე დავთანხმდი. შტაბიდან გამოგზავნეს მანიფესტის პროექტი. სალამოს პეტროგრადიდან მოვიდნენ გუჩკოვი და შულგინი, რომელთაც ვესაუბრე და ხელმოწერილი გადაკეთებული მანიფესტი გადავეცი. განცდილით დამძიმებული ღამის პირველ საათზე ფსკოვიდან წამოვედი. ირგვლივ ღალატი, სილაჩრე და ტყუილია!“ [2; 51] [34]

☝ პეტროგრაღში ოფიციალურად ჩამოყალიბდა რუსეთის დროებითი მთავრობა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: თავადი გიორგი ლვოვი – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, პავლე მილიუკოვი – საგარეო საქმეთა მინისტრი, „ტრუდოვიკი“ ალექსანდრე კერენსკი – იუსტიციის მინისტრი, ალექსანდრე გუჩკოვი – სამხედრო და საზღვაო მინისტრი, ნიკოლაი ნეკრასოვი – გზებისა და კომუნიკაციების მინისტრი, ალექსანდრე კონოვალოვი – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ალექსანდრე მანუილოვი – განათლების მინისტრი, ანდრეი შინგარიოვი – მინათმ საქმედების მინისტრი, მიხაილ ტერეშჩენკო – ფინანსთა მინისტრი, ვლადიმერ ლვოვი – უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი. მთავრობის პროგრამაში ეწერა, რომ მისი ძირითადი მიზნებია: 1)



რუსეთის დროებითი მთავრობის წევრები

პოლიტიკური, რელიგიური, ტერორისტული, სამხედრო აჯანყებისა და აგრარული მოტივებით დაპატიმრებული ტუსადების ამინისტია; 2) სიტყვის, ბეჭდვის, კავშირების, კრებების, გაფიცვების სრული თავისუფლება, მათ შორის სამხედრო პირებისთვისაც; 3) ყოველგვარი რელიგიური, ეროვნული და ნოდებრივი

შევიწროების მოსპობა; 4) საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი კენჭისყრის გზით შექმნილი დამფუძნებელი კრების მოწვევა; 5) სახალხო მილიციის მოწყობა; 6) საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე თვითმმართველობის მოწყობა; 7) სამხედრო დისციპლინის დაცვა და ა.შ. [1; 54] [36; 37; 401]

„მთელი რუსეთიდან დეპუტადეპუტაზე მოდის, ხალხი რევოლუციას უერთდება“. დაპატიმრეს და თავრიდის სასახლეში მიიყვანეს ყოფილი სამხედრო მინისტრი ვლადიმერ სუხოლინოვი და ეპოლეტები იქვე დაჭრეს. პეტროგრადში გაიმართა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) კონფერენცია. მიღებული რეზოლუციის მიხედვით, პარტიამ მხარი დაუჭირა დროებით მთავრობას და მის პოლიტიკურ პროგრამას. საღამოს იუსტიციის ახალმა მინისტრმა ალექსანდრე კერენსკიმ ეკატერინეს დარბაზში ჯარისკაცებსა და მოქალაქეებს სიტყვით მიმართა. მან განაცხადა: „ახალი მთავრობის პირველი აქტი ის იქნება, რომ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სრული ამინისტია. ჩვენი ამხანაგები, მე-2 და მე-4 საათობროს დეპუტატები, უკანონო გადასახლებულნი ციმბირის ტუნდრებში, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ უნდა იქმნენ. იშვა თავისუფალი რუსეთი...“. [1; 51, 52] [2; 51]

თბილისში, მიხაილოვის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ პატარა დარბაზში, ბოლშევიკებმა თავი მოუყარეს მუშებს და მუშთა დეპუტატების საბჭოს დაარსება განიზრახეს. შეკრებას ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა. კრების შესახებ შეიტყო ნოე ჟორდანიამ და მცირე ბოლშევიკური ჯგუფის მიერ საბჭოს ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა. ჟორდანიამ ამ ფაქტს იხსენებდა: „აშკარა იყო ერთი მუჭა ბოლშევიკების ჩანყობილი ამბავი, რომ ამით ხელში ჩაეგდოთ მუშათა საბჭოს სახელი და ის თავზე მოეხვია ხალხისათვის. ეს საძაგელი შეთქმულება გამომჟღავნდა, დამსწრე მუშებმა ხმა ამოიღეს, დაგმეს ეს კრება და მისი მომწვევიც, გადააყენეს ფილიპე, აირჩიეს თავის წრიდან პრეზიდენტი. მიიღეს ჩემი წინადადება – არჩეულ იქნას საორგანიზაციო, საინიციატივო კომისია მუშათა საბჭოს არჩევის მოსანყობათ. არჩევნები უნდა მომ-

ხდარიყო ადგილობრივ ცეხებში, ფაბრიკა-ზავოდებში. კომისიაში არჩეულ იქნა ყველა ჩვენი ხალხი, აი ამ დროს გამიხმო იქვე, ესტრადის კუთხეში ვ. ჯუღელმა, მთავარ ბოლშევიკმა, დაუძახა სხვა მის ამხანაგებს, გარდა ფილიპესი, რომელიც გაჯავრებული წასულიყო და მითხრა: ვხედავთ მუშათა საბჭოს მეთაურობა თქვენს ხელში გადადის, იმედია ჩვენ სამუშაოს მოგვეცემთო. მეც დავპირდი, რასაკვირველია, ამ დღიდან დაიწყო მისი ჩამოშორება თავის ფრაქციისაგან და ჩვენს მხარეზე გადმოსვლა“. [32; გვ. 75-76]

სატახტო ქალაქში რალაც უჩვეულო რომ ხდებოდა ამის ხმამ გურიამი 2 მარტს მოაღწია, სენსაციური ამბები ზედიზედ ვრცელდებოდა. [2; 60]

მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რუსეთის იმპერიის ყველა სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა. [2; 48]

მეფისნაცვალ შახვდა საქართველოს ეგზარხოსს, სომეხთა ეპისკოპოსს, მუსლიმების სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, თავად-აზნაურობის წინამძღოლებსა და ქალაქ თბილისის თავს. მან განაცხადა, რომ კავკასიის ჯარი წინ მიიწევს და მალე მოკავშირე ინგლისელებს შეუერთდება, სტუმრებს კი მშვიდობის დაცვის საქმეში თანადგომა სთხოვა. მეფისნაცვალმა იგივე განუცხადა ადგილობრივი გაზეთების რედაქტორ-გამომცემლებს, რომლებიც სასახლეში 5 საათისათვის მიიწვია. [2; 50]

სალამოს 7 საათიდან ქალაქის საბჭოს დარბაზში ხალხი თანდათან იყრიდა თავს. 8 საათისთვის იქაურობა გადაივსო. დამსწრენი ქალაქის ხელმძღვანელობისგან პეტროგრადის ახალი ამბების გაგებას მოუთმენლად ელოდნენ. ალექსანდრე ხატისოვმა თავის

ვრცელ სიტყვაში კრების მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო სიახლენი, წაიკითხა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის, მიხაილ როძიანკოს დეპეშა, კრებას ამცნო დროებითი კომიტეტის წევრებისა და დროებითი მთავრობის მინისტრების ვინაობა. მან კრებას განუცხადა, რომ მოსკოვი და მისი ჯარები ახალ მთავრობას მიემხრნენ და მოსკოვის ჯარების მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე გრუზინოვი დაინიშნა. აღნიშნა, რომ მეფისნაცვალის მხარს უჭერს ახალ მთავრობას და თანამშრომლობს მასთან. ხატისოვის გამოსვლის შემდეგ გამართა კამათი, რომლის დროსაც ხმოსანმა შალვა ალექსი-მესხიშვილმა განაცხადა, რომ „ახალი წეს-წყობილება დიდს თავისუფლებას მიანიჭებს რუსეთს, მაგრამ არარუს ერებისათვის, კერძოდ ქართველებისათვის, მარტო უფლებრივად გათანასწორება რუსის ხალხთან საკმარისი არ არის, ჩვენ ჩვენი ეროვნული მოთხოვნებიანი გვაქვს და ეს სავსებით უნდა დაკმაყოფილდესო. ესლა დიდი გასაჭირი ადგია სახელმწიფოს და ამ უამად ჩვენ არ წამოვაყენებთ ჩვენს მოთხოვნებს, მაგრამ როცა შესაფერისი მომენტი დადგება, ჩვენს ეროვნულ მოთხოვნებისაგან ვერაფერს დავთმობთ“. უფრო რადიკალური იყო ალექსანდრე ლომთათიძის გამოსვლა, რომელმაც ენერგიულად მოითხოვა ეროვნული საკითხის გადანწყვეტა. ორივე ქართველ ხმოსანს სომეხმა ხმოსანმა ბ. დოლუხანოვმა უპასუხა. მან განაცხადა, რომ ახლა დრო არ არის ცალკე ეროვნული მოთხოვნების წამოსაყენებლად. ამ კრებამ მხარდაჭერა გამოუცხადა დროებით კომიტეტს და მოუწოდა თბილისის მცხოვრებლებს, რომ არავინ დაარღვიოს წესრიგი და ქუჩებში არ მოხდეს არავითარი მანიფესტაციები, „რასაც საერთო საქმის კეთილი დამთავრება თხო-

ვლობს“. კრებამ ქალაქის ხელმძღვანელობას სურსათ-სანოვავის დაუყოვნებლივ მოძიება დაავალა. [1; 51] [2; 50]

რუსეთის პირველი სათათბიროს (1906 წ.) დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი ისიდორე რამიშვილი სათავეში ჩაუდგა ქალაქ სამარას მუშათა დეპუტატების საბჭოს. რამიშვილი სამარას გუბერნიაში 1914 წლიდან იყო გადასახლებული. [24]

შავშეთის ექვსი სოფელი: სამცხარი, კონტრომი, ანჩი, კაშასინი, სოლიანა და უსტამელი საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას ქართული სკოლის გახსნას სთხოვს. (2; 48)

ახლად გარდაცვლილ ამიერკავკასიის მუფთის, ჰუსეინ ეფენდი გაიბოვს, ანდერძად დაუბარებია, რომ მის პატივსაცემად ქელები არ გამართულიყო და ქელებისთვის საჭირო ფული რამე კეთილ საქმეს მოხმარებოდა. განსვენებულის შვილებს 1000 მანეთი გადაუციათ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარისთვის. (2; 48)

სასახლის პირდაპირ, დილის ათ საათზე, ორი ავტომობილი დაეჯახა ერთმანეთს. ორივე საგრძნობლად დაზიანდა. [2; 49]

დეპუტის მიხედვით ირკვეოდა, რომ კავკასიის ფრონტზე, სიკიზის მიმართულებით, რუსეთის ჯარი ოსმალეთის ჯარს მისდევდა და ბანას უახლოვდებოდა. ჰამადანის მიმართულებით, ორი დღის ცხარე ბრძოლის შემდეგ, მათ ქ. ქერმანშაჰი აიღეს. ოსმალების დევნა გაგრძელდა. [2; 49]

როგორც ამბობდნენ, ფრონტზე ყვავ-ყორნები გამრავლებულა. გერმანელები მათ ხოცავდნენ და კონსერვებს აკეთებდნენ. [2; 48]

3 მარტი

პარასკევი

საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა, პავლე მილიუკოვმა ეკატერინეს დარბაზში თავმოყრილ მეზღვაურებს, ჯარისკაცებსა და მოქალაქეებს სიტყვით მიმართა. „ბებერი დესპოტი, რომელმაც რუსეთი დანგრევამდე მიიყვანა, თავის ნებით უარს იტყვის სამეფო ტახტზე ან გადაყენებული იქნება. ძალა გადავა რეგენტის ხელში, ხოლო რეგენტად ინიშნება დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე“. [2; 51]

მიხეილ ალექსანდრეს ძემ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ტახტზე უარი განაცხადა. მან მიიჩნია, რომ მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ და ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას. „მიხეილთ დაინყეს მეფობა რომანოვებმა და მიხეილთვე დაასრულეს“. [1; 52, 53] [2; 53]

თბილისის მშრომელები ერთმანეთს ულოცავდნენ მეფის ხელისუფლების დამხობას.

მთელ რიგ სანარმოებში მუშაობა შეწყდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები ოსტატები მიტინგზე შეიკრიბნენ. [36; გვ. 406]

გურიაში გაზეთებმა ხალხს რევოლუცია ახარეს. „სიზმარია, თუ ცხადი? – ვეკითხებით ერთი მეორეს. გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ახალი საფრთხეა, ვაი თუ ახალი პროვოკაციაა“ – გურიიდან წერდა აპოლონ ნულაძე. [2; 60]

გამოქვეყნდა სპირიდონ კედიას წერილი, რომელშიც საუბარია რუსეთის რევოლუციაზე: „ცნობები არ არის, ძველი უარყოფილი მთავრობა თუ რა გზას დაადგა... ცხადია მხოლოდ, რომ რუსეთის სხეული შეტორტმანდა და ჰაერში ავარდა. არ ვიცით, რომელ მხარეს დაეცემა ან რომელ თეძოზე წამოწვება. რუსეთის ახლო მომავალში კითხვის ნიშნების გაუვალე ტყე-ლა მოსჩანს. მომხდარი აქტის ამბავი იმპერიის ყოველ კუთხეს დაუვლის. ჩვენც გადმოგვეცა იგი. აღფრთოვანებული და ატაცებული

ხალხი ვართ. გვიყვარს ხანჯლებით ცეკვა და გატენილ დამბაჩის ათამაშება ხელში. ბნელით მოცულ სივრცეში გზის მაჩვენებელი ვარსკვლავები გველანდება. გამოუცნობთან და სახიფათოსთან გახუმრების დრო არ არის. ბებერი წაგვიგია ამ გზით. ჩვენი ქვეყნის ბედი, მისი ანმყო და მომავალი ყოველი ქართველის სალსა და ანონილ-დანონილ ნაბიჯსა და მოქმედებაზე ჰკიდია. განვიცადოთ ეს დიადი პასუხისმგებლობა საყვარელ სამშობლოს წინაშე. განვიცადოთ და განვიდდეთ. ქართველობამ მოვიკრიფოთ ნათელი გონიერობა და სალი გრძნობა. სერიოზული, დინჯი და დარბაისელი იყოს ჩვენი პასუხი“. [2; 49]

პრესა წერდა, რომ დეპუტატი აკაკი ჩხენკელი თავს უკეთ გრძნობდა და ფინეთის ერთ-ერთ სოფელში იმყოფებოდა. ის იქ დროებით იყო და 10 მარტს აპირებდა პეტროგრადში დაბრუნებას. 15 მარტს კი საქართველოში დაბრუნდებოდა და ფიქრობდა ქობულეთში ცხოვრებას, რათა ჯანმრთელობა აღედგინა. [1; 50]

თბილისში დიდი უპურობა იყო. ხალხი ქალაქის დუქნებთან რიგში დილიდან საღამომდე იდგა და შინ მაინც ცარიელი ბრუნდებოდა. გაჩნდა ბებერი ყალბი ათშაურიანი ქალაქის ფული. ქალაქში შავი სახადი მეტად საშიშ ხასიათს იღებდა. უკანასკნელ დღეებში ამ სენით გარდაიცვალა №43 ლაზარეთის ექიმი ა. ლიახოვი და დაავადდნენ სხვა ექიმები. ყველა სახის სანოვაციის ფასები გაიზარდა. გირვანქა ძროხის ხორცი 1 მანეთზე ნაკლებად არ იშოვებოდა, ქათამი 6 მანეთამდე ღირდა, „მუჭის ოდენა ბატკანი, რომელსაც 4-5 გირვანქა ხორცი არ გამოუვა, 10-12 მან. ფასობს“. ბებერი საჭირო საქონელი საერთოდ არ იშოვებოდა. „ამ გაჭირვებულ მდგომარეობის დროს საზოგადოთ ყველგან და აქაც,



იმპერატორი ნიკოლოზ II კითხულობს მანიფესტს გადადგომის შესახებ

თბილისში იჩინეს თავი ზოგიერთმა მანანალებმა, რომელნიც, სტუდენტების ტანისამოსით გამოწყობილნი, ეკედლებიან ისედაც გაჭირვებულ შეგირდობას და სთხოვენ დახმარებას. [1; 50] [2; 49]


🌸 ტრამვაის მოსამსახურებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ გადაიხედოს და შეიცვალოს ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ტრამვაის მოსამსახურების ხელფასების მოსამატებლად გამოიყო 100 000 მანეთი. მოსამსახურები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ითხოვენ 625 000 მანეთის გამოყოფას. თხოვნის დაკმაყოფილების უკანსკნელ ვადად მათ 15 მარტი დაასახელეს. (2; 49)

🌸 ქვემო მთიულეთის მოსახლეობას ქუნთრუშა, წითელა და ყვავილი მოედო. ხალხი შეძრწუნებული იყო მსხვერპლით. მარტო დაბა ფასანაურში რვა ადამიანი გარდაიცვალა. (2; 49).

🌸 ონიდან იუნყებოდნენ, რომ მღვდელი მეტრეველი ქორწილში იმყოფებოდა. შეღვინიანებულს რეგოლვერიდან სროლა დაუწყია. ტყვია ონის პირველი დაწყებითი სკოლის მოსწავლეს მოხვედრია და მესამე დღეს გარდაცვლილა. (2; 49)

🌸 თბილისში ცნობა მოვიდა, რომ ცნობილი ქართველი მრეწველის, იაკობ მანსვეტაშვილის თაოსნობით პეტროგრადში ახალი ბანკი არსდება, რომელსაც მხოლოდ ქართველები აფუძნებენ. ამ ბანკის მიზანი იქნება ქართულ ფინანსურ დაწესებულებებსა და რუსეთისა და ევროპის ფინანსურ წრეებს შორის შუამავლობა გასწიოს. ბანკის გახსნა უახლოეს თვეებში იგეგმება. [2; 49]

📄 ად. ფორაქიშვილმა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა დავით სარაჯიშვილის ძვირადღირებული (ას თუმნამდე) პორტრეტი. (1; 50)



თბილისის მუშათა საბჭოს მოწოდება მოქალაქეებისადმი

4 მარტი

შაბათი

🚩 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან შეიკრიბა თბილისის საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დავით ნიჭარაძე, თბილისის ქალაქის თავი ალექსანდრე ხატისოვი და სოციალ-დემოკრატთა ლიდერები: ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავი ახალი მთავრობის ერთგულად აღიარა და საჯაროდ გამოაცხადა რომ დაინიშნა უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე დროებითი მთავრობის მიერ. [36; გვ. 405]

🚩 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს განუცხადა, რომ კავკასიაში არეულობას ადგილი არ ჰქონდა, ბაქოშიც და თბილისშიც სამაგალითო წესები იყო დაცუ-

ლი. მისი აზრით, ეს აიხსნებოდა იმით, რომ წესრიგის მომხრე სოციალ-დემოკრატებს რეგიონში დიდი გავლენა ჰქონდათ. „მე იმედი მაქვს, რომ ანიც ასე იქნება“ – აღნიშნა მან. [1; 52]

🚩 თბილისის თავს, ალექსანდრე ხატისოვს უთქვამს: დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ განაცხადა, რომ მთელი რუსეთის მხედრობის უფროსად მე ნიკოლოზ მეორის მიერ ვიყავი დანიშნული. ახლა ეს დანიშვნა ახლანდელმა მთავრობამ გაიმეორა, ამიტომაც მე მას ვემორჩილები; მეფისნაცვალს ვერ-ჯერობით თბილისში რჩება. მეფისნაცვალს აგრეთვე უთქვამს – მიტინგების გამართვის წინააღმდეგი არ ვარ, ყველას შეუძლია თავისუფლად შეიკრიბოს და ილაპარაკოს, მხოლოდ ქუჩებში დემონსტრაციები სასურველი არ არის, ვინაიდან ბრძოლის ასპარეზიდან ახლოს ვართო“. (2; 51)

🚩 საღამოს 8 საათზე გაიმართა მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა. [1; 53]



„მეფე, ჯარისკაცი და მუშა“. ოსკარ შმერლინგის კარიკატურა.

„რუსეთს რევოლუცია დასჭირდა, რომ კონსტიტუციის შემოღებით და პასუხისმგებელ მთავრობის შექმნით, უკეთ მოეწყოს და მტერი დაამარცხოს. ასეთი კონსტიტუცია დიდი ხანია, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში არსებობს. ეს იქნება უბრალო მოქალაქეობრივის უფლების მოპოვება და მეტი არაფერი. სხვადასხვა ხალხსა და ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებებს ამით მალამო ვერ დაედება. მის ნამდვილ მნიშვნელობის მიხედვით შევაფასოთ ეს ამბები. უბრალოთ და შეგნებულად შევხვდეთ ამ ამბებს“ – ეწერა გაზეთ „საქართველოს“ მონინავე გვერდზე. [2; 50]

პეტროგრადში სინოდის საზეიმო სხდომა გაიმართა კიევის მიტროპოლიტ ვლადიმერის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდა სინოდის ობერ-პროკურორი და საათაბიროს წევრი ვლადიმერ ლვოვი, რომელმაც სინოდის წევრებს განუცხადა, რომ ეკლესიის ცხოვრებაში თავისუფალი ხანა დადგა. მან ასევე ბრძანა დარბაზიდან გაეტანათ მეფის სავარძელი, „როგორც ნიშანი ცეზარ-პაპიზმის გაუქმებისა“. სხდომას არ დასწრებია პეტროგრადის გადამდგარი მიტროპოლიტი პიტირიმი. [1; 53] [2; 52]

უკრაინის პროგრესისტებმა (შემდგომში სოციალ-ფედერალისტები), სოციალ-დემოკრატებმა და სხვა საზოგადოებრივმა

ჯგუფებმა ჩამოაყალიბეს ცენტრალური რადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული, ისტორიკოსი მიხაილ გრუშევსკი. [34]

გაზეთ „საქართველოს“ მოსკოველი საკუთარი კორესპონდენტისგან მოუვიდა დეპეშა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მოსკოვის ყველა საქმეს განაგებდა საზოგადოებრივ დაწესებულებათა აღმასრულებელი კომიტეტი ვიშკინის თავმჯდომარეობით. დაარსდა შეერთებულ ეროვნებათა ორგანიზაციების საბჭო. ქართველების წარმომადგენლად ერთხმად აირჩიეს ექიმი მიხეილ ზანდუკელი, რომლის წინადადებითაც საბჭომ გადაწყვიტა სთხოვოს კომიტეტს, რომ მან ყველა ეროვნების წარმომადგენელი შეუშვას კომიტეტში. ზანდუკელს მიანდეს მოსკოველ ქართველთა ორგანიზაცია. ბუტირკის საპყრობილიდან გამოუშვეს პოლიტიკური პატიმრები, მათ შორის: ღლონტი, არჩვაძე, ჯაფარიძე. ზანდუკელი ცდილობდა დარჩენილი ქართველების განთავისუფლებას. [1; 51] [2; 52]

სახელმწიფო სათათბიროში დაარსებული სასურსათო კომისიის მოწერილობის თანახმად, 4 და 5 მარტს თბილისში შეიქმნა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი. კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ (ნიკო) ელიავა. კომიტეტის მოვალეობას წარმოადგენდა მთელი გუბერნიისათვის სურსათ-სანოვავის შექმნა და საჭიროებისამებრ, მცხოვრებთა შორის განაწილება. [1; 53] [2; 53]

საინტენდანტომ ქალაქის გამგეობას ქალაქის საჭიროებისათვის 30 000 ფუთი ფქვილი გამოუყო. ამის გარდა მეორედ 50 000 ფუთი დაუთმო. (2; 50)

5 მარტი

კვირა

პეტროგრადში გამოქვეყნდა ნიკოლოზ II-ისა და მიხეილის გადაყენების აქტები. საკვირაო წირვის დროს თბილისის ეკლესიებში ყოფილი იმპერატორი აღარ მოუხსენიებიათ. მის მაგივრად მოიხსენიეს რუსეთის ახალი მთავრობა. [2; 52]

დილის 10 საათზე ნაძალადევის მოედანზე მრავალათასიანი მიტინგი დაიწყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოვიდა რამდენიმე ორატორი. მათ ხალხს მოუწოდეს მხარი დაეჭირათ ახალი მთავრობისათვის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსათვის. სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს რევოლუციას და ხალხს მოუწოდეს ვრცლად წამოეყენებინათ ეროვნული საკითხი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა ხალხს დინჯი, შეგნებული მოქმედებისკენ და თავისუფალი რუსეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს და განაცხადეს, „რომ ქართველი ერი არც დღეს არის სავსებით გახარებული და ლხინი მისი საზეიმო იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა სხვა ერებთან ერთად მოიპოვებს თავისუფლების გვირგვინს“. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა კავკასიის შტაბის უფროსი, გენერალი ლეონიდ ბოლხოვიტინოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ემხრობა რევოლუციურ არმიას და ჯარს მოუწოდა უმაღლესი მთავარსარდლის ყველა ბრძანების აღსრულებისკენ. მიტინგზე ილაპარაკეს ჯარისკაცებმა, მუშებმა, ოფიცრებმა, იუნკრებმა და ციხეებიდან ახლად გამოსულმა პატიმრებმა. მიტინგი 3 საათზე დასრულდა. დილითვე, თბილისის პოლიციას იარაღი აჰყარეს. ქალაქში მშვიდობის დაცვა დაევალა პროპორშიკების სკოლას და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს. [1; 53] [2; 53]

ჩამოყალიბდა თბილისის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა 5-5 წარმომადგენელი მუშათა საბჭოსგან, ჯარისკაცების საბჭოსგან და საქალაქო სათათბიროსგან. [21, გვ. 36]

მუშათა დეპუტატების საბჭომ აირჩია მუდმივი პრეზიდიუმი: თავმჯდომარე – ნოე ჟორდანიას, მოადგილეები – გიორგი ერაძე და ევსევი, მდივნები – ხანოიანი და ვ. ჟღენტო. [1; 53]

ზუბალაშვილის სახალხო სახლში თბილისელმა ბოლშევიკებმა პირველი ლეგალური კრება გამართეს. კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის პარტიული ორგანიზაციის აღდგენის შესახებ. აირჩიეს თბილისის საქალაქო (ბოლშევიკური) კომიტეტი და ე.წ. საინფორმაციო ბიურო. საქალაქო კომიტეტში შევიდნენ: მიხეილ (მიხა) ჩოდრიშვილი, ანასტას მიქოიანი, რ. კალაძე, ი. ჯორბენაძე, ე. კალანდაძე, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ. [36; გვ. 436]

დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ფილიპ-პრაისი მიიღო. ბრიტანელი ჟურნალისტი ასე იხსენებდა ამ საუბარს: „დიდმა მთავარმა რომ შემომხედა, შევნიშნე, ლოყები ჩავარდნოდა, თვალები სისხლით ჰქონდა სავსე, ხელები კი უცახცახებდა და უცებ გავიფიქრე, ნუთუ მართლა ეს არის დიდი თავადი ნიკოლოზი, ძღვევამოსილი ლომი, რომლის წინაშეც ამდენ ხანს მონივნებით ქედს იხრიდნენ ინგლისი და საფრანგეთი“. სიახლეთა შესახებ დიდი მთავრის მოხსენება მოკლე იყო: „გაღიარებ რუსეთის ახალ წყობას, რადგან იგი ჩვენი მამულის ხსნის ერთადერთ საშუალებად მიმაჩნია. როგორც არმიის მთავარსარდალი, არავის მივცემ უფლებას ჯარის წინააღმდეგ იმოქმედოს. ჩემს თანამემამულეებს მივმართავ, შეინარჩუნონ წესრიგი და არ დაარღვიონ დისციპლინა არმიის,

რადგან რესპუბლიკურ საფრანგეთსაც კი შენარჩუნებული აქვს პრინციპი: „ჯარი წმინდაა“. [39; გვ. 53]

გამოქვეყნდა სამხედრო მინისტრ ალექსანდრე გუჩკოვის ბრძანება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა „დაბალი ხარისხი“. მის ნაცვლადაც უნდა გამოიყენონ „ჯარისკაცი“; გაუქმდა ტიტულები, რომელთა მაგიერ მიმართვის ფორმა იქნება „ბატონო გენერალო“, „ბატონო პოლკოვნიკო“ და ა.შ. ჯარისკაცებს უნდა მიმართონ „თქვენობით“ და არა „შენობით“. ჯარისკაცებს მოეხსნათ უამრავი შეზღუდვა, ამიერიდან მათ უფლება აქვთ იარონ კლუბებში, დასხდნენ ტრამვაიში, მონაწილეობა მიიღონ კავშირებში და განეგრძენ პოლიტიკურ საზოგადოებებში. [2; 54]

„დეპუტატ ჩხეიძეს ალტაცებით ეგებება ხალხი და თან ახლავს ჯარისკაცები და აფიცრები. სიტყვას ამბობს... სალდათს ხელს ართმევს რევოლუციონური გმირი. მუშებს მოუთხოვს, თუ როგორ შეეცადა „ოხრანკა“ უკანასკნელი საზიზღარი პროვოკატორული საშუალება ეხმარა. ამ ოხრანკამ პროკლამაცია გამოუშვა და ამბობს, სალდათებმა ოფიცრები დახოცესო. ორატორმა მოუხმო სალდათებს: მიესალმეთ ოფიცრებს, როგორც მოქალაქეთ, რომელთაც აღმართეს სარევილუციო დროშა და იყავით მათი ძმები დიდის რევოლუციისა და რუსეთის თავისუფლებისათვის. მუშებმა, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ჩხეიძე ხელში აიტაცეს და გამოჰყავთ“. (1; 52) (2; 51)

ალექსანდრე კერენსკისგან თბილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს ბ-ნ ჩეხიშევს დეპეშა მოუვიდა, რომ ყველა პოლიტიკური დამნაშავენი, როგორც გამოძიების ქვეშ მყოფნი, აგრეთვე სასამართლოს გადანყვეტილებით დატუსაღებუ-

ლნი სასწრაფოდ გაანთავისუფლეთ სატუსაღოდანო. (1; 52)

საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად ბრძოლისთვის დევნილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი საქართველოში გამოემგზავრა. (2; 51)

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი პასტრულინი, გადადგა და თანამშრომლები დაითხოვა. ჟანდარმის განყოფილება სავსებით გაუქმდა. დათხოვნილი მოსამსახურეები ჯარში უნდა ჩაენერონ და ბრძოლის ველზე წავიდნენ. მთავრობა თვალყურს ადევნებს ჯაშუშების მოქმედებას და იმას, რომ ახალი წეს-წყობილება არავინ დაარღვიოს. (1; 52)

ვლადიკავკაზში შეიკრიბა ჩრდილოეთ კავკასიელთა ინტელიგენცია და საერთო ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო. [19; გვ. 43]

პეტროგრადში განახლდა ბოლშევიკური გაზეთის – „პრავდას“ გამოცემა. [34]

აუქციონერთა კრებამ კავკასიის ბანკის თავმჯდომარედ აირჩია იასონ ლორთქიფანიძე, დირექტორებად – დ. ქუთათელაძე და რ. დათეშიძე. [1; 54]

თელავში ღვინო გაძვირდა. იანვარში საპალნე (48 ვედრო) 406 მანეთი რომ ღირდა, უკვე 650-700 მანეთად ფასობდა. ღვინო აღარც იშოვებოდა, წინა წლის მოსავალი გამოიღია. უპურობაც მძვინვარებდა. თუ ხორბალსა და ფქვილს სასწრაფოდ არ მოიმარაგებდნენ, კახეთი დაიშვოდა. [2; 51]

ხარკოვის პოლონელთა დარბაზში ქალაქისა და მის განაპირა ადგილებში მცხოვრები პოლონელების კრება გაიმართა, რომელსაც 5000-მდე კაცი დაესწრო. კრებას ქართველი ერის სახელით მიესალმა გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომელი: „გაუ-

მარჯოს თავისუფალ პოლონეთს და გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს. სალამი თქვენ, პოლონეთის შვილებო, ქართველებისაგან“ – ასე დაასრულა მან გამოსვლა. დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში და „vivat რუსია“-ს ძახილი. [2; 61]

☐☐ გამოვიდა სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ №10 ნომერი. [8; 10]

6 მარტი *ორშაბათი*

🚩 რევოლუციურმა მთავრობამ შეადგინა კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც აღიჭურვა დროებითი უმაღლესი მთავრობის სახელითა და უფლებებით ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისა და მოსახლეობას შორის მშვიდობის დამყარებაში. სამხედრო ხასიათის საკითხებში კომიტეტსა და ფრონტის მთავარსარდალს შორის უნდა დამყარებულიყო სრული კონტაქტი. ამავე დროს, სამხედრო ხელისუფალთა ვერცერთი განკარგულება, თუ იგი კავკასიის სამოქალაქო მოსახლეობას ეხებოდა, კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ძალაში ვერ შევიდოდა. კომიტე-

ტის თავმჯდომარედ დაინიშნა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვასილი ხარლამოვი (მემარცხენე კადეტი), წევრებიც სათათბიროს წარმომადგენელნი იყვნენ: მიქაელ პაპაჯანოვი (დაშნაკი და კადეტი), მამედ-იუსუფ ჯაფაროვი (მუსავატი) და კიტა (ივანე) აბაშიძე (სოციალისტ-ფედერალისტი). კომიტეტს კავკასიაში დაუყოვნებლივ გამგზავრება დაევა. როგორც ზურაბ ავალიშვილი იხსენებს, ოზაკომის ფორმირებამდე ის დაიბარა ალექსანდრე კერენსკიმ და ამ ორგანოს წევრობა შესთავაზა. „ჩვენ გადავწყვიტეთ, – დაიწყო მან გადატრიალების პირველ საბრძოლო დღეებში საბოლოოდ ჩახლჩილი ხმით, – ამიერკავკასიის სათავეში დავაყენოთ კომიტეტი, რომელშიც შევლენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები. მე ვთხოვ, აგრეთვე პერევერზოვს (პავლე პერევერზევი – ადვოკატი, რუსეთის იუსტიციის მინისტრი 1917 წელს – გ. ა.) გაჰყვეს მათ. ჩვენ გვინდა თქვენი შეყვანაც ამ კომიტეტში. თანახმა ხართ? თუ თქვენი აზრით – გულწრფელად მითხარით – უკეთესი იქნებოდა ამ კომიტეტის წევრად კიტა აბაშიძე გაგვეხადა?.. მე მხარი დავუჭირე კიტა აბაშიძის კანდიდატურას. კერენსკი ცოტას ყოყმანობდა, მაგრამ მალე დამეთანხმა, რომ

ეს არჩევანი სასურველი იყო“ – წერს ზურაბ ავალიშვილი. [1; 54] [2; 57] [18; გვ. 20]

🚩 თბილისის სასახლეზე სამეფო დროშა ჩამოხსნეს და მის ნაცვლად აფრიალდა ახალი – წმ. გიორგის ლენტის ფერის დროშა, რომელზედაც ეწერა: „კავკასიის მხედრობა“. [1; 54] [2; 52]


🚩 თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ გადაწყვიტა შემდგარიყო ადგილობრივი ხელისუფლება – ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდოდნენ ქალაქის სათათბიროსა და სხვა ორგანიზაციების, ასევე პარტიების წარმომადგენლები. ამ კომიტეტს დაექვემდებარებოდა ყველა საქალაქო და ადმინისტრაციული საქმე. სალამოს სახალხო სახლში გაიმართა მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანი. კრებამ აირჩია რწმუნებულები ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში: ნოე ჟორდანი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ს. რაზმაძე, ანდრია ჭიბრიშვილი, ბ-ნი მაისურაძე, ევსევი, ჩერნიშოვი, ერზიკიანი და ხანოიანი. ქალაქის საბჭოში ხმოსნებმა კრება გამართეს და კომიტეტში თავიანთ წარმომადგენლებად აირჩიეს: ალექსანდრე ხატისოვი, სარქის ხანონიანი, ერზიკიანი



ვასილი ხარლამოვი



მიქაელ პაპაჯანოვი



მამედ-იუსუფ კაფაროვი

ნი, ბერბეროვი, ი. დოლუხანოვი, არუთინოვი, ბაბოვი, ა. არლუთინსკი, ვესელოვზოროვი და შალვა ალექსი-მესხიშვილი. [2; 3] [36; 411]

❖ ღამის 11 საათზე შეიკრიბა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი და ითათბირა. კომიტეტში ადგილები ასე გადანაწილდა: მუშათა დეპუტატების საბჭოს 10 წარმომადგენელი, ქალაქის თვითმმართველობის 10 წარმომადგენელი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო – 5, სოციალ-დემოკრატები – 3, სოციალისტ-ფედერალისტები – 2, გაზეთ „საქართველოს“ ჯგუფი – 1, დაშინაკცუთიუნი – 2, დროშაკანები – 1, მუსლიმები – 4, ებრაელები – 1, კადეტები – 1, კოოპერატივთა კავშირი – 2, ვექილთა საბჭო – 1, ვაჭართა საზოგადოება – 1. სულ 45 წევრი. კომიტეტმა აირჩია აღმასრულებელი ბიურო 15 კაცის შემადგენლობით და კომისიები. [1; 54] [2; 53] [36; გვ. 411]

❖ გაიმართა თბილისელი ბოლშევიკების კრება. მიღებული რეზოლუციის თანახმად ბოლშევიკებმა მისაღებად მიიჩნიეს მენშევიკებთან ტაქტიკური შეთანხმება. [36; გვ. 437]

❖ რუსეთის დროებითა მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ არ აპირებდა მოკავშირეებთან დადებული შეთანხმებების დარღვევას და რუსეთი ომში საბოლოო გამარჯვებამდე მიიღებდა მონაწილეობას. [34]

☆ შუადღის 12 საათზე მუშათა საბჭოს წარმომადგენლების ხელმძღვანელობით რევოლუციურმა ჯარმა ალყა შემოარტყა ჟანდარმთა სამმართველოს, მათი მეთაური, პოლკოვნიკი პასტრულინი, სხვა ოფიცრები და ათზე მეტი ჯაშუში მეტეხის ციხეში ჩასვეს. საყურადღებოა, რომ ჟანდარმებს მოესწროთ ბევრი მნიშვნელოვანი საბუთის განადგურება. [1; 54]



ივანე (კიჩა) აბაშიძე

❖ თბილისის დამცველად დარჩა 12 000 ჯარისკაცი, რომლებმაც უმთავრეს ოფიცრებთან ერთად ქალაქის წარმომადგენელს გამოუცხადეს, რომ სრულიად უერთდებიან ახალ რევოლუციურ მთავრობას და მთელ ქალაქში სიმშვიდესა და მყუდროებას დაიცავენ. [2; 52]

❖ შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა დროებითი ცენტრალური კომიტეტი, ბალყარელი განმანათლებლისა და იურისტის, ბასიატ შახანოვის თავმჯდომარეობით. იმავე დღეს ჩამოყალიბდა ადგილობრივი ნაციონალური კომიტეტები (ინგუშური, ყაბარდო-ბალყარული, ჩეჩნური და სხვა). [36; გვ. 43]

🏠 პეტროგრადში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა მოისმინა ნიკოლოზ რომანოვის 2 მარტისა და მიხეილის 3 მარტის აქტები ტახტზე უარის თქმის შესახებ და ბრძანა: აღნიშნული აქტები ყურად იღონ, აღასრულონ და განაცხადონ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში: „ქალაქებში ამ აქტების მიღებისთანავე და სოფლებში კვირას ან უქმე დღეს, წირვის შემდეგ, შეავედრეთ ხან-

გრძლივობა ღვთის კალთის ქვეშე მყოფი მპყრობელობა რუსეთისა და მისი კეთილმორწმუნე დროებითი მთავრობისა“. [2; 53]

☆ შუა ბაზარში, არშაკ ბალიაზოვის მალაზიაში, ცხრა ქურდი შეიპარა და 150 000 მანეთის საქონელი წაიღეს. [2; 56]

☆ ომის დეპეშა კავკასიის ფრონტიდან: ჯარები ოსმალებს მისდევენ და ბანაში შევიდნენ. [2; 52]

7 მარტი სამშაბათი

❖ დილის 10 საათზე მთელი რუსეთის არმიის მთავარსარდლად დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თბილისიდან პეტროგრადისკენ გაემგზავრა და თან ახლდა თავისი ძმა – პეტრე ნიკოლოზის ძე, გენერალი ნიკოლოზ იანუშევიჩი, ვოლსკი, ორლოვი და ისტომინი. ვაგზალში მათ გამოემშვიდობა სამღვდლოება და ქალაქის თავი ა. ხატისოვი. [2; 52]

❖ შედგა აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სხდომა, რომელზეც კომისრებად აირჩიეს: ნოე ყორდანი, ალექსანდრე ხატი-

სოვი და ოფიცრების წარმომადგენელი დიმიტრი პოპოვი. კომიტეტმა თავი ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანოდ გამოაცხადა და აცნობა დროებით მთავრობას, რომ სასურველია კომიტეტს გადაეცეს მთელი გუბერნიის მართვა-გამგეობის საქმე. შეიქმნა 15 კაცისგან შემდგარი ბიურო (ნ. ჟორდანიას, ა. ხატისოვი, დ. პოპოვი, ნ. რამიშვილი, ა. ლომთათიძე, ა. ჭიბრიშვილი, ს. არუთინოვი, შ. ალექსიმესხიშვილი, არუთინიანი, ი. გედევანიშვილი, ფ. მახარაძე, ა. ბაბოვი, ვერეშჩოვი, 1 სოციალისტ-რევოლუციონერი და 1 მუსლიმი). ბიუროს სხდომაზე მიიღეს ძველი პოლიციის გაუქმებისა და ახალი მილიციის შექმნის გადაწყვეტილება. დროებითი პოლიციის მეთაური ათაბეგოვი გაათავისუფლეს, ხოლო მილიციის შექმნა და მისი უფროსობა დაევალა პოდპორუჩიკ მიხეილ კოგანს. [1; 55] [2; 54]

პეტროგრადიდან თბილისში გამოემგზავრა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობა. ამის შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლვოვმა დეპუტით შეატყობინა ა. ხატისოვს. [2; 55]

„ძველი წყობილების დამხობა მუშათა კლასის, რევოლუციონური ჯარისა და ბურჟუაზიის საქმეა... ყოველი წუთი ძვირფასია. დაუყოვნებლივ დაარსეთ ქალაქებში აღმასრულებელი კომიტეტები“ – წერდა სოციალ-დემოკრატიული პრესა. [1; 53]

სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი „სახალხო ფურცელი“ პარტიულ ამხანაგებს მოუწოდებდა: „დღეს დაგვიდგა დრო მზის სინათლეზე ამოსვლისა, სურვილების სრული განცხადებისა და უკვე გაისმის თავისუფალი ხმა თავისუფალ ხალხისა. დღეს უნდა გავაასკეცოთ მუშაობა, უნდა შეუთანხმოთ მოქმედება დღევანდელ მომენტს და მედგრად გავსწიოთ ჩვენი იდეა-

ლის – მშრომელი ხალხის და საქართველოს განთავისუფლებისაკენ“. [3; 812]

რუსეთის დროებითა მთავრობამ აღადგინა ფინეთის კონსტიტუცია. [1; 56]

პეტროგრადიდან იუნკებოდნენ, რომ პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად სატუსალოებიდან სისხლის სამართლის დამნაშავეებიც გამოსულან, რადგან ამინისტია ტერორისტებსაც შეეხო. ასეთი დამნაშავეები კერძო სახლებში უვარდებიან ხალხს, ჯარისკაცის ფორმებში გადაცმულნი უკანონო ჩხრეკას აწარმოებენ, ძალმომრეობენ და ხალხს აშინებენ. ამიტომაც აღმასრულებელმა კომიტეტმა ბრძანება გასცა – ასეთ პირებს მკაცრად მოეპყრან, თუ წინააღმდეგობა გასწევნ, დახვრიტონ კიდეც. [1; 53] [2; 52]

გამოქვეყნდა საქართველოს თავადაზნაურობის დეკლარაცია, რომლის დედანი გაეგზავნა სახელმწიფო სათათბიროსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როძიანკოს. ასლები – გიორგი ლვოვს. დეკლარაციაში თავადაზნაურობის წარმომადგენლები მიესალმებოდნენ რუსეთში მომხდარ რევოლუციას და აღნიშნავდნენ: „ამიერიდან ქართველებისათვისაც დგება წამი ეროვნულის აღორძინების, რადგან ამ ერს მტკიცედა სწამს, რომ ის დიდებული რუსები რომელთაც თვისის სიცოცხლითა და სისხლით მოუპოვეს თავის სამშობლოს თავისუფლება, სამართლიანობის ვალს მოიხდიან საქართველოს წინაშე, და როდესაც რუსეთში ახალ მართვა-გამგეობის წესწყობილებას საბოლოოთ დაამყარებენ, ქართველ ერს უფლებას მისცემენ განახორციელოს თვისნი ეროვნული უფლებანი პოლიტიკურ ავტონომიის საფუძველზე“. დეკლარაციას ხელს აწერდნენ: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი დიმიტრი

ჩოლოყაშვილი და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი დავით ნიჟარაძე. [2; 52]

გამოქვეყნდა სანდრო შანშიაშვილის წერილი „ჩემი მისაღმება“. „მამ, დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალმა თავისუფლება, დამიბრუნე მამულით ბედნიერმა მამულის ბედნიერება, დამიბრუნე საქართველო, და მაშინ, მხოლოდ მაშინ უფრო გინამებ!“ – მიმართავს ავტორი რუსეთს. [2; 52]

თბილისის საქალაქო პოლიციის ხელმძღვანელის განკარგულებით დაიკეტა ღვინის სარდაფები და რესტორან-სასადილოები, სადაც ღვინო იყიდებოდა. [2; 52]

სალამოს 7 საათზე თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებმა კრება გამართეს. არ დაესწრნენ „თანამედროვე აზრისა“ და „ჰორიზონტის“ წარმომადგენლები. კრებას თავმჯდომარეობდა ა. ყანჩელი. ითათბირეს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ ახალ რეჟიმს. გადაწყვიტეს, რომ ჟურნალ-გაზეთებმა დაუყოვნებლივ გაავრცელონ ხალხში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარი ახალი მოვლენა. გადაწყდა თბილისის პრესის თანამშრომელთა კავშირის შექმნა, რომლის წარმომადგენლები წევრებად უნდა შევიდნენ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში. აირჩიეს ბიურო (პ. ქავთარაძე, ა. ყანჩელი, ბ-ნები ნაროდინი და ვარდანიანი), რომელსაც კავშირის დამფუძნებელი კრების მონვევა დაევალა. [2; 55]

ოზურგეთში გაიმართა პირველი დიდი მიტინგი, რომელსაც არანაკლებ 6 ათასი კაცი დაესწრო. „სამშაბათამდე ჯოჯოხეთი ამინდი იყო. ბევრი კიდეც ოხუნჯობდა: ძველი მთავრობის ბოროტება პირისაგან ქვეყნისა

ირეცხებაო, ზოგიც დასძენდა, ეს ძველი რეჟიმის მომხრეების ცრემლებიაო... სამშაბათს კი მშვენიერი ამინდია“ – გურიიდან წერდა აპოლონ წულაძე. [2; 60]

☀ თელავში ხალხმრავალ მიტინგზე გაიმართა თათბირი – როგორ დააღწიოს თავი კახეთმა შიმშილს. აირჩიეს ორი პირი – ლევან გოგინაშვილი და ბაგრატი იელალოვი. მათ მიანდეს კახეთის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა და თელავის ქალაქის თვითმმართველობის მიერ გადაცემული თანხით სურსათის შექცნა. [2; 58]

🕯 „მამა ნიკიტა თალაკვაძის სახლში შედგა საიდუმლო კრება, რომელსაცც ესწრებოდნენ ნოე ყორდანია, ალექსანდრე ლომთათიძე, სოსიკო მერკვილაძე და ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე). კრებაზე გადაწყდა, რომ 12 მარტს სვეტიცხოველში გადაეხადათ სამშვიდობო პარაკლისი, ხოლო შემდეგ წაეკითხათ ავტოკეფალიის აღდგენის აქტი.

🚩 თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის წესი გააკრიტიკეს სოციალისტ-ფედერალისტებმა: „უნდა ვცდილობდეთ,

რომ მთავრობის შედგენაში მეტი მონაწილეობა მივაღებინოთ იმ მასსას, რომელსაც ვერც პროლეტარიატი, ვერც ბურჟუაზია და ვერც ჯარი დაჰფარავს. დემოკრატია და წვრილი ბურჟუაზია ყოველ თავის ორგანიზაციით ხმას უნდა იღებდეს ახალ მთავრობის შედგენაში და ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, რომ მთავრობა წარმოადგენდეს სახეს საზოგადოებისას. სოფლად კი ასეთი ძალაა გლეხ-კაცობა... მის მონაწილეობას მთავრობის შედგენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ, აქ

8 მარტი

ოთხშაბათი


🚩 რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა სამეფო ოჯახის დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო. დედოფალ ალექსანდრას დაპატიმრება დაევალა პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსს, გენერალ ლავრ კორნილოვს, ნიკოლოზ რომანოვის დაპატიმრება – მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს: ალექსანდრე ბუბლიკოვს, ვასილი ვერშინინს, საველი კალინინს და გრიბუნინს. დავალება იმავე დღეს აღსრულდა. [2; 56]

🚩 დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ გატჩინადან პეტროგრადში წასასვლელად საკუთარი მატარებელი მოითხოვა, მაგრამ მუშათა საბჭოს უთქვამს: თქვენ, როგორც მოქალაქეს, შეგიძლიათ მატარებლის ბილეთი აიღოთ და წაბრძანდეთო. [2; 53]

🚩 შედგა ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა. პრეზიდიუმში აირჩიეს: ევგენი გეგეჭკორი (თავმჯდომარე), გრიგოლ გიორგაძე, გრიგოლ (გრიშა) ურატაძე და სხვა. [1; 2]



ნოე ყორდანია



ისიდორე რამიშვილი

საყოველთაო საარჩევნო პრინციპს უნდა ვიყენებდეთ. რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, მაშასადამე ტფილისის მთავრობის შედგენაში შეუძლებელია მონაწილეობა არ მიიღოს ვაჭარ-მრეწველთა გვერდით თავად-აზნაურობამაც... ნოდებრიობის მოსპობით თვით მოქალაქენი, ყოფილნი აზნაურნი და თავადნი რჩებიან და კი არ ისპობიან... ჩვენ მოვითხოვთ, საყოველთაო საარჩევნო პრინციპი რამდენადაც შეიძლება ეხლავე იქმნას დროებითი მთავრობის შედგენაში დაცული, რომ მთავრობა არ გამოხატავდეს ძველ მთავრობის მაგვარ კლასობრივ ორგანიზაციას. ჩვენ პრინციპიალურად ვენინალმდევებით ყოველგვარ დიქტატურას, ვისიც უნდა იყოს იგი, და ყოველის საშუალებით შევებრძოლებით დიქტატორულ მისწრაფებას“. [3; 813]

218-ე სათადარიგო პოლკმა, რომელშიც ირიცხებოდა 15 ათას კაცამდე, თბილისში დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყო. პოლკი დილით დაიძრა თავისი ყაზარმებიდან (ავლაბარი) და მიხეილის პროსპექტი ჩაიარა. პოლკის მრავალრიცხოვნების გამო ის რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი, თითოეულს ჰყავდა

თავისი ხელმძღვანელი. მოჰქონდათ ნითელი დროშები წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!“. მსვლელობის დროს მათ მრავალი ჯარისკაცი და დიდძალი ხალხი შეუერთდა. ნაშუადღევს 2:30-ზე დემონსტრაცია ერევნის მოედანზე გამოჩნდა. „ხალხით გაიჭედა მოედანი, ასე რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა. აქ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა და ხალხი მშვიდობიანად და მხიარულად დაიშალა“. [2; 54]

ისიდორე რამიშვილი სამარიდან პეტროგრადში დაბრუნდა. ამ მგზავრობის რამიშვილი ასე იხსენებდა: „ყველა სადგურზე გვხვდებოდა დიდძალი ხალხი და გაშლილი სუფრა. გამველ დაღლილ ორატორებს მეც მივეშველე და საერთო აღტაცებას მეც ვუერთებდი ჩემს ხმას“. [33; გვ. 523]

„საჭიროა სოფლებშიაც დაუყოვნებლივ მოენყოს აღმასრულებელი კომიტეტები... ყველა ოცისთავები რევოლუციურ მართვა-გამგეობას თავგამოდებით უნდა იცავდენ. ოცისთავებმა უნდა აირჩიონ თავისი წარმომადგენლები, მათვე უნდა შეუერთდენ კოოპერატივთა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა მიერ არჩეული პირები. აი ამათგან სასოფლო აღმასრ. კომიტეტი უნდა მოენყოს... სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლებისაგან უნდა შედგეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომ ის საყოველთაო ნდობით სარგებლობდეს, ამ კომიტეტში ადგილი უნდა დაეთმოს ქალაქის თვითმმართველობათა და რევოლუციის მომხრე ვაჭართა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლებსაც“ – წერდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „თანამედროვე აზრი“. [1; 54]

გაზეთი „საქართველო“ მოუწოდებდა: „ქართველო ხალხო, შეერთდით, დაირაზმენით! გამოცვალეთ ძველი მოხელენი.

ამოირჩიეთ სანდო და პატივით აღჭურვილნი პირნი. მხარში ამოუდქით თქვენ მიერ ამორჩეულ პირთ! უკვე არსებულ შემნახველ-გამსესხებულ ამხანაგობებთან და კოოპერატივებთან ერთად დაიცავით თქვენი ქონება, კერა და პატივი! დინჯათ და შეგნებულათ შეუდქით დიდს საქმეს! დაივიწყეთ პირადი უთანხობა, მიეცით მხარი მხარს, სოფელო, სოფელს გაუნოდე ხელი! შევერთდეთ ყველანი! ღირსეულად დავხვდეთ დიდ განსაცდელს!“. [2; 53]

„ქართველო ქალეო შეიკრიბენით!“ – აცხადებდა თბილისის ქალთა საზოგადოების გამგეობა და ქართველ ქალებს აუწყებდა, რომ 11 მარტს, დღის 12 საათზე, „ძმურ ნუგეშში“ (გოლოვინის პროსპექტი, №16) დანიშნული იყო საგანგებო კრება. [2; 53]

„მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებამ“ წამოაყენა ლოზუნგი: „ძირს ომი!“. ეს ლოზუნგი განიხილეს ერობისა და ქალაქის კავშირის შეერთებულ სხდომაზე, სადაც აზრი ორად გაიყო. [2; 53]

თბილისის ყოფილი პოლიცემისტერი ზდანოვსკი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ასევე დაატუსაღეს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმთა უფროსი, თავადი შჩეტინინი. პასტრულინი, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი, რომელიც ამ დღეებში დააპატიმრეს, მეტეხის ციხეში იმყოფებოდა. [1; 55, 56] [2; 53]

თბილისის კონდიტერ-მეზულკეებმა მუშათა დეპუტატების საბჭოში გასაგზავნად აირჩიეს ორი დელეგატი – ამბაკო ჭელიძე და კონსტანტინე (კონია) კანდელაკი. [1; 59]

თელავის სამოქალაქო ბალში (ბულვარში) გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, „რომელიც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა, მისი მსგავსი არამც თუ არავის არ ენახა, გაგონებთაც

არავის სმენოდა“. ორატორები აღფრთოვანებას გამოხატავდნენ მიმდინარე მოვლენებით და დაადგინეს, რომ ახალ მთავრობას მოსთხოვონ ყველა დაჩაგრული პატარა ერებისთვის ავტონომიის მიცემა. [2; 58]

9 მარტი

ხუთშაბათი

🚩 თბილისში ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის ჩამოყალიბება კომისრებმა აცნობეს ამიერკავკასიის 43 ქალაქს, კომიტეტმა ადმინისტრაციული ფუნქციები თავის თავზე აიღო. მას ზურგს უმაგრებდა თბილისის ჯარი და ქალაქში სიმშვიდე სუფევდა. [2; 54]

🚩 თბილისში განმეორდა დიდი პოლიტიკური მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო არტილერიამ, პროპორშჩიკების სკოლამ, ქვეითთა ჯარებმა და სხვა. მათ შეუერთდა მოსახლეობა. თბილისის მთავარი ქუჩები, სადაც მანიფესტაციამ გაიარა, ხალხით აივსო. შუადღის 2 საათზე მანიფესტაციამ ერევნის მოედანს მიაღწია. შეკრებამ დიდხანს გასტანა და მშვიდობიანად დაიშალა. [2; 55]

🚩 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა პარტიის ყველა წევრს მოუწოდა მტკიცედ შეკრან კავშირი პროვინციების – ქალაქებსა და სოფლებში. პარტიამ ხალხს შემოწირულობის გაღების თხოვნითაც მიმართა. [2; 54]

🚩 სოციალისტ-ფედერალისტური პრესა წერდა: „არ შეგვიძლია გაბედულად და ერთხმად არ მოვიტხოვოთ ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური თვითარსებობის უზრუნველყოფა. დღევანდელ პირობებში ეს შესაძლებელია საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიის დაწესებით. ავტონომია შეჰქმნის აუცილებელ პირობებს ჩვენი

ყოველმხრივი განვითარებისა და დანიშნულებისთვის. ავტონომია ისეთი ელემენტარული გარანტიაა ჩვენი ცხოვრებისთვის, ურომლისოდ ერთს ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ პროგრესისაკენ, ვერ დავიცავთ ჩვენს ენას, ჩვენს კულტურას, ჩვენს შემოქმედებას და ურომლისოდ მოგველის სრული დაცემა და განადგურება“. [3; 814]

🚩 „ქართველებო, დღევანდელი მომენტის უზენაესი მოთხოვნილებაა ყველა პარტიის, ყველა წოდების, მთელი საქართველოს შეერთება და ერთად მოქმედება. ამაშია ჩვენი ხსნა. ამ გაერთიანებისკენ მოვუწოდებთ ყველას. ზურგის შექცევა ღალატი იქნება სამშობლოს წინაშე. ნულარ დაგვედება ეს საშვილიშვილო სირცხვილი! მამ გაერთიანებისაკენ, ერთად ყოფნისაკენ!“ – წერდა გაზეთი „საქართველო“. [2; 54]

🚩 ეპისკოპოსმა კირიონმა მიხეილ როძიანკოს დეპეშა გაუგზავნა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „გაუმარჯოს დროებით მთავრობას“. (2; 54)

🚩 აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-იურე აღიარა რუსეთის დროებითი მთავრობა. [1; 59]

🌟 ტრაპიზონში შეიკრიბა მიტინგი, რომელსაც 2 ათასი ჯარისკაცი, მატროსი, ნავსადგურის მუშა ესწრებოდა. მიტინგზე დაადგინეს პოლიციის და ჟანდარმერიის მოხსნა, დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება. ტრაპიზონის გარნიზონის დეპეშაში ნიკოლაი იუდენიჩისადმი აღიარებულია, რომ გარნიზონის სარდლობამ დაკარგა ყოველგვარი ძალაუფლება, ჯარისკაცთა არჩევითი ორგანოები მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდნენ. [36; გვ. 502]

🌟 ახალი მთავრობის განკარგულებით ალკოპოლური სასმელების ყველა სავაჭრო დაიკეტა.

საუფლისწულო ღვინის უდიდესი საწყობი დახურულია. მიუხედავად მკაცრი კონტროლისა და რესტორან-სასადილოების გაჩერებისა, „ზოგიერთი ვაჭბატონები მაინც თავისას არ იშლიან და უკანა კარებიდან კვლავაც განარგობენ სასმელების ყიდვას. ზოგიერთმა საწვრილმანო დუქნებშიაც კი გააჩალა ღვინით ვაჭრობა. ასმევენ ათას ქურდ-ბაცაცებს და ამით ხელს უწყობენ ძარცვა-გლეჯას. საჭიროა სასტიკი თვალ-ყურის დევნა განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში“. [1; 55]

🚩 აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, ნიკოლოზ ჭუმბურიძემ კომიტეტის მინდობილობით მეფისნაცვლის კანცელარია გაჩხრიკა. [1; 57]

🌟 გაიმართა თბილისის წვრილ ვაჭართა კავშირის პირველი კრება. მათ რევოლუციურ მთავრობას დეპეშა გაუგზავნეს და სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. წვრილი ვაჭრების თავმჯდომარე გახლდათ იოსებ მერკვილაძე. [2; 57]

🚩 შედგა „ახალი კლუბის“ საზოგადო კრება, რომელმაც დეპეშები გაუგზავნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლვოვს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოს და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ჩხეიძეს. დეპეშაში კრება მხარდაჭერას უცხადებდა ახალ მთავრობას და იმედს გამოთქვამდა, რომ ის საქართველოს ავტონომიას მიანიჭებდა. [2; 59]

🌟 „როდის გათავდება ომი?“ – შეკითხვას სვამს გაზეთი „საქართველო“ და მოჰყავს ჰერბერტ კიტჩენერის, ალექსეი ბრიუსილოვისა და ინგლისის ცნობილი მწერლის, ჰერბერტ უელსის მოსაზრებები, რომელნიც ომის დასრულებას ვარაუდობდნენ 1917 წლის ივლის-აგვისტოს პერიოდში. [2; 54]

ღილის 10-11 საათიდან თბილისის განსაკუთრებული სიცხოველე ეტყობოდა. ყველა სასწავლებლის მოსწავლეები და მასწავლებლები ქუჩაში მუსიკით, თოფებითა და წითელი ბაირალებით გამოვიდნენ და ერევნის მოედნისკენ დაიძრნენ. ამ მიმართულებით გაემართა სამხედრო მეავტომობილეთა კოლონა დროშებით, რომელზედაც ეწერა: „სიკვდილი გვირჩევენიან, ვინემ ძველს რეჟიმს დავმორჩილდეთ!“. ერევნის მოედანი ხალხით გაიჭედა და ორატორები სიტყვით გამოდიოდნენ. შუადღის 2 საათზე მოედანზე გამოჩნდა კაზაკ ცხენოსანთა ჯარი და ხალხს შეუერთდა. „ერევნის მოედანი, გოლოვინის პროსპექტი და ახლო-მახლო ქუჩები წითელ ბაირალების ტყეს წარმოადგენდნენ“. მიტინგი დიდხანს გაგრძელდა და მშვიდობიანად დაიშალა. [1; 57] [2; 56]

თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა დროებითი მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ეს შემადგენლობა თავისი უმრავლესობით არ წარმოადგენს კავკასიის დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველს“. [36; გვ. 416-417]

შეიქმნა ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი. თავმჯდომარე – ილია ჩიქოვანი, წევრები: კიტა აბაშიძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ გველესიანი, გრიგოლ გიორგაძე, ივანე გობეჩია, ალექსანდრე თორაძე, ვსევოლოდ კაპანაძე, გრიგოლ ლალიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ ურატაძე, ლეო შენგელაია. კომიტეტის მდივანი – დავით ავალიანი, მისი მოადგილე – შოთა დადიანი. კომიტეტში ყველა მოქმედი პარტიის წარ-

მომადგენლები შევიდნენ. „დაიცავით ყველგან, ქალაქებში და სოფლებში, სრული წესიერება! შეებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობასა და კერძო საკუთრების მითვისებას! ყოველი თქვენი პოლიტიკური გამოსვლა წინასწარ ამცნეთ კომიტეტს და მიიღეთ ყოველი ზომა დააგვირგვინოთ დიდებული რევოლუციამ!“ – მიმართა კომიტეტმა მოსახლეობას. (2; 55)

აფხაზეთში შეიქმნა საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი – რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ანტიქართულად განწყობილი ალექსანდრე შარვაშიძე. [30; გვ. 4]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა კრება გამართა, რომელსაც დაესწრო 2 000-ზე მეტი ადამიანი. „კრებას აუარებელი ხალხი მიანყდა. კლუბის დარბაზი, კარიდორები და შესავალი ხალხით იყო სავსე. უადგილობის გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა“. კრება გახსნა სპირიდონ კედიამ. მან განაცხადა, რომ დღევანდელმა რევოლუციამ საქართველოს უპირველეს ყოვლისა ეროვნული ხელისუფლება უნდა მოუტანოს. „გვქონდეს სამშობლოს თავისუფლების რწმენის სიმხურვალე, გვქონდეს გონების სიფრთხილე და გრძნობის ზომიერება. ვიყვნეთ საღი სულით, საღი სხეულით და საქართველოს თავისუფლებაც ჩვენთან არს! გაუმარჯოს მას!“ – ამ სიტყვებით დაასრულა კედიამ გამოსვლა. შემდეგ გამოვიდნენ: გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი, შალვა ქარუმიძე. კრების ყველა წევრმა ერთხმად მიიღო მთავარი კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც დროებითი მთავრობისგან ითხოვდა 1783 წლის ტრაქტატის აღდგენას და საქართველოს ავტონომიას რუსეთის შიგნით. „დამახასიათებელია გუშინდელი კრება უფრო

იმ მხრივ, რომ ყველამ ნათლად დაინახა, თუ რა სისწრაფით გაზრდილა და იზრდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ჩვენთა მოპირდაპირეთა მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ ამ პარტიის გარშემო სულ მცირე ჯგუფი იკრეფდეს თავს სრულიად უსაფუძვლო იყო. გუშინდელ დღიდან სიმართლე მოითხოვს ვალიაროთ, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად ძლიერი პარტიაა და ამავე დროს მთელის ქართველ საზოგადოების სურვილის და მრწამსის გამომხატველია“ – წერდა ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“. [2; 57]

სოციალისტ-ფედერალისტებმა განაცხადეს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დემოკრატიის არა მხოლოდ მმართველობას, არამედ კანონმდებლობასაც, არა მხოლოდ ქართველ მოხელეებს და მართველებს, ქართველ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტისას. ჩვენ გვინდა საქართველოს შეგნებული დემოკრატიის ხმა და ბრძოლა მკვეთრად გაისმას ტფილისის პარლამენტში, რომ საქართველოს საკითხები დემოკრატიულად გადასწყვიტოს თვით საქართველოს დემოკრატია, ხოლო უცნობ საქმეში არ ჩაერიოს ტყუილ-უბრალოდ უცხო ქვეყნის დემოკრატები“. [3; 815]

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ზეგავლენით პეტროგრადში შემოიღეს 8 საათიანი სამუშაო დღე. [34]

„როგორც ხმა დადის, ბალაჯარაში დიდ მთავრის მატარებელი რევოლუციონერებს შეუჩერებიათ, დაუტყვევებიათ ყველანი, ვინც დიდს მთავარს თან ახლდნენ“. (2; 55)

სინოდის ობერ-პროკურორმა ვლადიმერ ლვოვმა ეპისკოპოსი ისიდორე განდევნა, რადგან მან რასპუტინის სული მოიხსენია.

ეპისკოპოსმა ისიდორემ უთხრა მას: „რასპუტინი კონსტიტუციონალ-დემოკრატი იყო“. (2; 55)

„სასამართლოს დაწესებულებებში მეფისა და მისი საგვარეულოს სურათები ჩამოხსნეს. მოხელეებს აეკრძალათ ძველი მთავრობის ორდენები ატარონ“. სინოდიდან მეფის სავარძელი გამოიტანეს და მუზეუმს გადასცეს. (2; 55)

პირველ სავაჟო გიმნაზიაში გაიმართა თბილისის ყველა ტიპის სკოლების პედაგოგთა კრება ვარლამ ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. კრება მიესალმა რევოლუციურ ხელისუფლებას და გადააყენა ძველი საოლქო სამოსწავლო ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობა. [1; 58]

გაიმართა თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების მოსწავლეთა საერთო კრება. დაადგინეს, რომ მჭიდრო კავშირი შექმნან და მტკიცე ორგანიზაცია ჩამოაყალიბონ. აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც 15 ქალი შევიდა. (2; 55)

თბილისის განთავისუფლებულმა პოლიციელებმა (ე.წ. „გოროდოვოებმა“) მთავრობის თავმჯდომარე ლეოვს განცხადება გაუგზავნეს. ისინი აცხადებენ, რომ ახალ მთავრობას დიდი სიხარულითა და თანაგრძნობით ეგებებიან და მზად არიან ახალი წესწყობილება დაიცვან. მათი თქმით, კანონიერი სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება მათ მოქალქეობრივი მოვალეობის შესრულება და ახალი რეჟიმის მსახურება დაუშალონ. ასევე, ისინი სთხოვენ მთავრობის თავმჯდომარეს, რომ ამ განცხადების ასლი გაგზავნონ თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, როგორც ადგილობრივ კაპიტონიერ ხელისუფლებაში. (2; 55)

11 მარტი

შაბათი

დატყვევებული ნიკოლოზ რომანოვი ცარსკოე სელოში მიიყვანეს და ალექსანდრეს სასახლეში მოათავსეს. დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ სამეფო ოჯახის არც ერთი წევრი ჯართან არ მიეშვათ, თვით დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეც. (2; 56)

ნაშუადღევს 3 საათზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი ლეოვმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს განუცხადა, რომ მთავარსარდლობიდან გადაყენებულია. ლეოვის დროებითი მთავრობა ოფიციალურად აღიარეს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ. [2; 58]

ისიდორე რამიშვილი თავრიდის სასახლეში მივიდა. სასახლის შიგნითაც და გარეთაც უამრავი ხალხი იყო. დარბაზში შესვლისას დაინახა თავისი მეგობარი, რომელიც სიტყვით გამოდიოდა. ეს იყო კარლო ჩხეიძე. „ეს ორატორი – იხსენებდა რამიშვილი – იყო ჩემი მეგობარი და ამხანაგი კარლო ჩხეიძე. იმას ეცვა უბრალო შალის პიჯაკი და შარვალი. მარცხენა მუჭი უკან ზურგზე მაგრად დაემუჭნა, მარჯვენა ხელს ჰაერში ატრიალებდა და სარკაზმით სავსე სიტყვებით ლაპარაკობდა მეფეზე და კადეტებზე: „მეფეს ნავხოცეთ შუბლიდან, რაც ზეცას მისთვის თითქოს ნაეცხოს, მოვხადეთ ის ხვთისგან კურთხეული გვირგვინი და ხელთ შეგვრჩა უბრალო გამოლენჩებული პატარა კაცი, რომელიც ყოველ უნარს მოკლებული ყოფილა. ნაიხოცა მის შუბლიდან ღვთის მადლი და ის დაეცა“. კარლო უცებ შეტრიალდა ტრიბუნაზე დაიძახა: „მოუსმინეთ ამ ბერიკაცს, ის პირველი დუმის წევრია“ და დაასახელა ჩემი გვარი. მე მოულოდნელად ტრიბუნალზე გავეჩნდი. წყალში რომ ჩავარდე, ხელი გაანძრიეო, გამიგონია და მეც მეტი გზა არ დამრჩენოდა, უნდა მელაპარაკა.

ღვთის მადლით მაშინ ენა ისე გვეკონდა მოქნილი, რომ სიტყვის ძებნა საჭირო არ იყო და მეც შევტოპე მორევში. რა ვილაპარაკე, ბევრი არ მახსოვს, მაგრამ ტაშის გრიალი მეც დავიმსახურე“. [33; გვ. 524]

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ გამართა დახურული სხდომა და იმსჯელა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობის შესახებ. საბჭომ დაგმო კიტა აბაშიძის კანდიდატურა, ის ნაციონალისტად შეარაცხა და დაადგინა: „... არჩევა ადგილობრივ მოღვაწისა, რომელიც წევრი არაა სახელმწიფო სათათბიროსი და უკვე ოცი წელიწადია ებრძვის ინტერნაციონალურ პროლეტარიატს – აძლევს მთელ კომისარიატს ცხოველ ანტიმუშურ ხასიათს. ჩვენ ამისთანა მთავრობისათვის პასუხს არ ვაგებთ... მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა შეატყობინოს დროებითს მთავრობას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს პეტროგრადში, ამხანაგებს ჩხეიძეს და კერენსკის, რომ იგი ამისთანა პირობებში ვერ გამოიჩენს კომისარიატის ახლანდელ შემადგენლობისადმი საჭირო ნდობას და



სპირიდონ კედეა



შინაპატიმრობაში მყოფი ნიკოლოზ II

თავის მოქმედებას შეუთანხმებს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომელიც თავის შემადგენლობით სრულიად უზრუნველყოფს მოძრაობის ერთიანობას. გათიშვის თესლი, პეტროგრადიდან ჩვენში გამოსროლილი არის შედეგი კავკასიის საქმეთა სრული უვიცობისა და უნდა გამოსწორდეს იქიდანვე, ან აქედან ბრძოლით. თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, მდივანი სარქის ხანოიანი“. [3; 819]

აღმასრულებელმა კომიტეტმა 12 მარტს მცხეთაში გასამართ პარაკლისზე დასწრება დაავალა ალექსანდრე ლომთათიძეს. პარაკლისზე აგრეთვე მიემგზავრებოდა გიორგი ჟურული. კომიტეტი

მიტეტმა რეგიონებში რევოლუციური წეს-წყობილების ორგანიზებისთვის წარმომადგენლები გააგზავნა. [1; 58]

კომისრად დანიშნულ კიტა აბაშიძეს თბილისელმა სოციალისტ-ფედერალისტებმა დაეპეშა გაუგზავნეს: „აღლაცებით ვებებებით შენს დანიშვნას. მოუთმენლად ველით შენს ჩამოსვლას“. [3; 816]

თბილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შეატყობინოს თბილისის გუბერნატორს, პოლკოვნიკ ალექსანდრე მანდრიკას, რომ მთელს რუსეთში ძველი გუბერნატორები გადააყენეს, ამიტომაც ისიც უნდა გადადგეს თანამდებობიდან და ყველა საგუბერნიო სა-

ქმეები აღმასრულებელ კომიტეტს გადააბაროს. [2; 59]

სოციალ-დემოკრატები გლეხთა დეპუტატთა საბჭოების შესახებ წერდნენ: „რევოლიუცია ამჟამათ ძლიერია ქალაქში, ის უნდა გაძლიერდეს სოფლათაც. სწორეთ ასეთი იქნება გლეხთა დეპუტატების საბჭოს მიზანი. ის თავს მოუყრის გლეხკაცობას, სოფლათ დაამყარებს წესიერებას და განამტკიცებს ახალ წყობილებას“. იქვე საუბრობდნენ ქალთა ემანსიპაციის შესახებ: „აი ახლა, როცა რუსეთის პოლიტიკური მონობის ბორკილები დაიმსხვა, ქალები მამაკაცებთან ერთათ სრულ უფლებიანი მოქალაქენი უნდა შეიქნენ, დეე, დიდმა რევოლუციამ პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთათ მიაწიჭოს ქალებს მამაკაცებთან უფლებრივი გათანასწორება“. [1; 57]

გამოქვეყნდა დაეპეშა მოსკოვიდან: „მოსკოვის ქართველთა ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია ესალმება ხალხის რევოლუციონურ მოძრაობას, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე. ეს ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სამოქალაქო თავისუფლების განმტკიცებას უეჭველად უნდა მოჰყვეს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენა ავტონომიურ საქართველოსი, რომელიც რუსეთს 1783 წლის ტრაქტატის ძალით შეუერთდა. საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია უნდა შეიმუშავოს თბილისის დამფუძნებელმა კრებამ. მორიგ პოლიტიკურ კითხვათა გადაწყვეტისათვის უნდა შეერთდნენ ყველა ქართული პარტიები, რომელთაც უნდა შეადგინონ ერთი საქართველოს ნაციონალური კომიტეტი“. ორგანიზაციის თავმჯდომარე – გრიგოლ ვეშაპიძე (ვეშაპელი). [2; 56]

სალამოს 7 საათზე, რეალური სასწავლებლის დარბაზში გაიმართა თბილისის საშუალო და დაწყებითი სკოლების მას-

წავლებელთა კრება, რომელსაც 2 000 კაცი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა გიმნაზიის მასწავლებელი ივანე პალმოვი. მიღებული რეზოლუციის თანახმად, უნდა შექმნილიყო თბილისის ყველა მასწავლებელთა პოლიტიკურ-პროფესიული კავშირი, რომლის მიზანი იქნებოდა „ფართო დემოკრატიული ხასიათის სკოლის შექმნა“; სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი გადააყენეს. თავმჯდომარის მოადგილე ვარლამ ბურჯანაძემ წამოაყენა ინიციატივა, რომ სანამ სწავლა-აღზრდის საქმეში ძირითადი ცვლილებები განხორციელდებოდა, უნდა მომხდარიყო სკოლის ნაციონალიზაცია. ყველა სკოლაში საგნები მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო, საშუალო სკოლებში კი მშობლიური ენა სავალდებულო ხდებოდა. ეს

საკითხი შემდეგისთვის გადაიდო. [1; 59]

★ თბილისის პოლიციელებმა აღმასრულებელ კომიტეტს დაპეშით მიმართეს: „ძველი რეჟიმით ჩვენც ვიყავით დათრგუნვილნი და არ შეგვეძლო მის წინააღმდეგ მოქმედება, ახლა კი დიდი აღფრთოვანებით ვეგებებით ახალ წესწყობილებას და გთხოვთ ჩვენც შეგვიერთოთ ხალხის და თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ნუ წაგვართმევთ მოქალაქის უფლებებს“. (2; 56)

☘ სახალხო სახლში კრება ჰქონდათ ებრაელებს, აღმასრულებელ კომიტეტში თავიანთი წარმომადგენლის დასასახელებლად. [2; 56]

☘ 4 საათზე, სახალხო სახლში, ოსებს ჰქონდათ კრება „თანამედროვე ამბების გამო მოსალაპარაკებლად“. [2; 56]

☘ 11 და 12 მარტს ქალაქის სავადმყოფოს დარბაზში შედგა ფერშალთა და ბებია ქალთა კრება. [2; 62]

12 მარტი

კვირა

☘ მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ტაძარში თავი მოიყარა ათი ათასზე მეტმა ადამიანმა. სვეტიცხოველში იმყოფებოდა საქართველოს ოთხივე მღვდელმთავარი: ლეონიდე, გიორგი, ანტონი და პიროსი. ასევე: თბილისის მთელი ქართული სამღვდელოება, სამღვდელოების დეპუტატები, თავადაზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო მარშლები, ქართულ საკულტო და-



ქართველი სასულიერო და საერო პირები ავტოკეფალიის აღდგენის დღეს



ეპისკოპოსი ლეონიდე

წესებულებათა წარმომადგენლები, არაგვის ხეობის მცხოვრებთა ცხენოსანი წარმომადგენლები და სხვა. თბილისიდან ხალხი ჩამოიყვანა სამმა მატარებელმა: ორმა ჩვეულებრივმა და ერთმა საგანგებოდ ამ მოვლენისთვის დანიშნულმა. ლეონიდე დამსწრეებს მიულოცა ავტოკეფალიის აღდგენა. აღდგერძელეს მღვდელმთავრები – კირიონი და დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი, „რომელნიც ამ სანეტარო წამსაც კი სამშობლოს გარეთ არიან ხორციელად“. წაიკითხეს ოქმი, რომლის მიხედვითაც კათოლიკოსის არჩევამდე საქართველოს ეკლესიის დროებით გამგედ ერთხმად არჩეულია გურიადიშის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდლო ლეონიდე (ოქროპირიძე). სამღვდლოებისა და ერისკაცებისგან აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ხელში გადავიდა ყველა საეკლესიო საქმე. საეგზარქოსო გაუქმდა. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ამიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თავის ავტოკეფალურ ცხოვრებას, რომლის სვე-ბედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრების დადგენილებისა, ასი წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითმპყრობელობა“.

იმავე დღეს გალავანში ყოვლად სამღვდლო ლეონიდე არაგვისპირელებს დროშა უკურთხა. გალავანშივე გაიმართა მიტინგი, სადაც ორატორებმა ხალხს საქართველოს განთავისუფლებისკენ მოუწოდეს. სამ საათზე სამღვდლოებასა და დასავლეთ საქართველოდან მოსულებს სუფრა გაუშალეს. სადილის დროს მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ორატორები ამბობდნენ: „ვისარგებლოთ მომენტი და ჩვენის ქვეყნის სრულ განთავისუფლებისათვისო“. [2; 58-59]

ღილის 10 საათზე თბილისის თვითმმართველობის სასახლეში გაიხსნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციების გაერთიანებული კრება, სადაც დღის წესრიგში იდგა დროებით მთავრობასთან და ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი. ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ რადგანაც დროებითი მთავრობა ასრულებდა მუშათა საბჭოების დადგენილებას, ამიტომ მხარი უნდა დაეჭირათ მისთვის. ბოლშევიკმა ფილიპე მახარაძემ საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, მისი თქმით, ბურჟუაზია საზოგადოდ მოლაღატე იყო და პროლეტარიატს საკუთარი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. შუალედური პოზიცია დაიკავა პავლე საყვარელიძემ და ბოლშევიკებსა და მენშევიკებს საერთო პოზიციის გამონახვისკენ მოუწოდა. ფილიპე მახარაძემ და სერგო ქავთარაძემ მოითხოვეს ამიერკავკასიაში არსებული საბჭოები ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად ორგანოებად გარდაქმნათ. საბოლოოდ, კრებამ მიიღო ნოე ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. [1; 59] [21; გვ. 41]

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობას. [3; 818]

რუსეთის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით სიკვდილით დასჯა გაუქმდა. [1; 57]

პეტროგრადიდან იტყობინებოდნენ, რომ ნიკოლოზი და მისი ოჯახი სასახლეში იყვნენ დატყვევებულნი და სრულ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. ყოფილი იმპერატორის შვილები ავად იყვნენ და ექიმები უვლიდნენ. [2; 57]

თბილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩაიბარა სასახლე, რომელშიც მანამდე მეფისნაცვლები და მთავარმმართველები ცხოვრობდნენ. კომიტეტმა დაადგინა, რომ სასახლის ერთ ნაწილში დარჩებოდა სავლეთ სათადარიგო ჰოსპიტალი №392, ხოლო მეორე ნახევარში განთავსდებოდა აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოები. [2; 58]

სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები (გაზეთ „საქართველოს“ ჯგუფი) შეთანხმდნენ საქართველოს ავტონომიის საკითხზე ემუშავათ. [2; 57]

გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას წერილი „ჩვენი დროშა“, სადაც საუბრობდა საქართველოსთვის ტერიტორიული ავტონომიის მინიჭების აუცილებლობაზე და განიხილავდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. „აქედან ლოლიკურად აუცილებელია ის დასკვნა, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი საკანონმდებლო ორგანო (სეიმი, პარლამენტი), რასაკვირველია, აშენებული ფართო დემოკრატიულ პრინციპზე ე.ი. ამორჩეული საყოველთაო და სხვა ხმის მიცემით საქართველოს ყველა მკვიდრთა მიერ, განურჩევლად სქესისა, სჯულისა და ეროვნების“ – წერდა ავტორი. [2; 57]

დაიბეჭდა სანდრო შანშიაშვილის წერილი „ისმინე, ერო!“.

„ყველგან შეჰფიცეთ და დაადგინეთ თქვენის მეფურის სიტყვით, რომ იბრძოლებთ საქართველოს

ბედნიერებისა, ერის მეფობის – ავტონომიის მოსაპოვებლად! გაუმარჯოს იმ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ამ დროშას ააფრიალებს! გაუმარჯოს სოც.-ფედერალისტს ამ მიზნით გამსჭვალულს! გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას ამ მიზნისთვის მებრძოლს!“ – წერდა ავტორი. [2; 57]

გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“. „ფინლანდიის თავისუფლების კარი უკვე გაიღო. ამბობენ, დღეს თუ ხვალ საქართველოს ზარიც ჩამოჰკრავსო. სიხარულის ლოცვით შემდეგ ვილოცოთ, ცრემლი შვებისა მერე დავღვაროთ, ეხლა კი... შეერთდით, შეკუმშდით, დაჯგუფდით და მოითხოვეთ ერთის ხმით, ერთის ნებით და ერთის გულით – „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“ – წერდა იგი. [2; 57]

იოსებ სტალინი და ლევ კამენევი გადასახლებიდან პეტროგრადში დაბრუნდნენ. [34]

არსენალის ტექნიკოსებმა მანიფესტაცია დაიწყეს, მათ ჯარი და ხალხი შეუერთდა და ერევნის მოედანზე მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა. სიტყვით გამოვიდა ნოე რამიშვილი. [1; 59]

შეიხ ულ-ისლამმა, ამიერკავკასიის მუფთიმ და თბილისის მუსლიმთა კომიტეტის თავმჯდომარე ჰაიდარ ბამმატოვმა (ბამატი) მუსლიმებს მიმართეს. ისინი მხარს უჭერდნენ ახალ რეჟიმს და მუსლიმებს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდნენ. (2; 57)

„თელავიდან ჩამოსულებმა ამბავი ჩამოიტანეს, რომ თელავის ცნობილი რევოლუციონერი დ. როსტომაშვილი, რომელმაც წინა წელს საკატორლო ციხიდან გამოსვლისთანავე გაიტაცა რუსეთის „რევოლუციის ბებია“ ეკატერინა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია

(„მაგრამ ორივე შეიპყრეს“), განთავისუფლეს და საქართველოსკენ წამოვიდა“. (2; 57)

დააპატიმრეს მცხეთის გარნიზონის უფროსი და დუშეთში გააგზავნეს. მიზეზი იყო ის, რომ მას თავისი ხელქვეითი ჯარისკაცებისთვის სახელმწიფო ცვლილებების შესახებ არ გამოუცხადებია. წინანდელი ჩვეულების მსგავსად, 11 მარტს, საღამოს, ჯარისკაცებს „ბოჟე ცარია ხრანი“ უგალობნიათ. [1; 59]

12 საათზე, სახალხო სახლში უნდა გამართულიყო გიორგი ქუჩიშვილის სალიტერატურო დილა. „დილა არავითარ შემთხვევაში არ გადაიდება“ – ატყობინებდნენ დილით ორგანიზატორები ლონისძიებაზე დასწრების მსურველებს, თუმცა ის მაინც გადაიდო. რადგან დაინტერესებულთაგან ბევრი მცხეთაში წავიდა, ლონისძიება 19 მარტისთვის დაინიშნა. [2; 57, 59]

გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ახალი ნომერი. „მოქალაქენო! მხარი მიეცით ახალ მთავრობას და ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! ამხანაგებო! დამფუძნებელ კრებას უნდა მოვსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!“ – მოუწოდებდა რა ჟურნალი, იქვე აქვეყნებდა ლექსს:

„დამარცხდა დემონი – ველარ ხარხარებს, დამარცხდა, დამცირდა, შიშით ცახცახებს! ვინც გუშინ გვტანჯავდა – დღეს იგი კვდება ტანჯულ-წამებული ან მკვდრეთით სდგება“. [8; 11]

13 მარტი

ორშაბათი

თბილისში ოფიციალურ ცნობად მოვიდა, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში, კიტა აბაშიძის ნაცვლად, დაინიშნა სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი – სახელმწიფო სათათბიროს წევრი. [3; 818]

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში მოისმინეს ბიუროს მოხსენება. ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა პირველი ყრილობა ბიუროს დაუნიშნავს 18 მარტის საღამოს, ქალაქ თბილისში. თბილისსა და ბაქოს ეყოლებოდა ხუთ-ხუთი წარმომადგენელი, საგუბერნიო ქალაქებს – ორ-ორი, სამაზრო ქალაქებსა და მოზრდილ დაბებს – თითო-თითო. [1; 59]

ეპისკოპოსმა ლეონიდემ საქართველოს ყოფილ ეგზარხოსს პლატონს წერილობით შეატყობინა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა და იგი, იურიდიულად და ფაქტობრივად, აღარ იყო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელი. პლატონი პასუხობდა, რომ მისთვის 3 დღე მიეცათ, რათა თავისი ხელმძღვანელობისთვის შეეტყობინებინა შეატყობინებდა და მოიქცეოდა ისე, როგორც უბრძანებდნენ. ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს უპასუხნია: „როგორი პასუხიც უნდა მოგივიდესო, ეს ჩვენ სრულებით არ შეგვეხება და სიტყვიერად გიმეორებთ, რომ ამიერიდან საქართველოს ექსარხოსად აღარ ბრძანდებით და ყოველგვარი ფუნქციები საქართველოს ეკლესიისა ჩემს ხელში გადადის“. ლეონიდემ თანდათან იბარებს საეკლესიო საქმეებს და დაწესებულებებს. „1817 წელს დაინიშნა პირველი რუსი ექსარხოსი თეოფილაქტე რუსანოვი, ხოლო ასის წლის შემდეგ, 1917 წელს, განყენებულ იქმნა უკანასკნელი რუსი ექსარხოსი პლატონი“. [2; 61, 65]